აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№96 (25.120) 27 ოქტომბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 21-26 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 21 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

გაზრდილი ბიუჯეტი და პროგრამები – 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები განისაზღვრა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 2024 წლის ბიუჯეტზე მუშაობა დაასრულა. მომავალი წლის ფინანსური დოკუმენტი 100 მილიონი ლარით გაიზარდა და 700 მილიონს გადაჭარბა. ბიუჯეტი გაეზარდა ყველა სამინისტროს, დაისახა პრიორიტეტები. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარვადგენთ 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტს, რომელიც 700 მილიონი ლარით განისაზღვრა. პირველად, ნაერთი ბიუჯეტი მიუახლოვდა ერთმილიარდიან ნიშნულს, რაც მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ აჭარის თითოეულ მცხოვრებზე და განვახორციელოთ ის მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის. მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, ბატონ პრემიერ-მინისტრს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერისთვის. პირველად ხდება, რომ ნაერთი ბიუჯეტის ამ მოცულობით დაიგეგმა 2024 წლის როგორც ინფრასტრუქტურული პროექტები, ისე შესაბამისი პროგრამები. ვთვლი, რომ სწორ გზას და სწორ კურსს ვავითარებთ, რომელიც საბოლოო ჯამში მოგვცემს საშუალებას, თანაბრად ვიზრუნოთ თითოეულ მოქალაქეზე, ყველა იმ ადამიანზე, რომელიც საჭიროებს დახმარებას, მხარდაჭერას, ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობაზე და კიდევ უფრო მეტი სოციალური პროექტი განვახორციელოთ, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

როგორც სხდომაზე ითქვა, სამინისტროების ბიუჯეტის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება გაიზარდა. მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა 35 844 000 ლარით გაიზარდა და 241 000 000 ლარი შეადგინა. დაიწყება „ოცნების ქალაქის“ მეორე ეტაპის მშენებლობა, რისთვისაც 17 000 000 ლარია გათვალისწინებული. განხორციელდება გოდერძის და გომარდულის ახალი საბაგირო ხაზის მშენებლობის პროექტი, რომლის ბიუჯეტი 2 660 000 ლარით განისაზღვრა. 5 მილიონი ლარია გათვალისწინებული ჭვანის და მაჭახლის „ეთნოსოფლის“ განვითარების პროექტისთვის, 35 794 000 მილიონი კი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, რომელიც რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

2024 წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 11 მილიონით გაიზარდა და 51 255 000 ლარი შეადგინა. გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება, ბავშვთა და მოზარდთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია, ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამები უფრო მეტი ბენეფიციარისთვის იქნება ხელმისაწვდომი. მომავალ წელს იზრდება პენსიონერთა ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში ჩართულობა და ხელშეწყობა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი 14,9 მილიონი ლარით გაიზარდა და 132 121 700 ლარი შეადგინა. განხორციელდება ახალი საგანმანათლებლო სივრცეების მშენებლობა, გაგრძელდება სტუდენტთა და პედაგოგთა მხარდაჭერის პროგრამები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტი 37 000 000 ლარი იქნება, რომლის ფარგლებში 95 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები იგეგმება, მათ შორის, ბათუმში 9 საჯარო სკოლის ძირითადი ან დამატებითი შენობა აშენდება. 95%-ით გაიზრდება სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამის ბიუჯეტი და შეადგენს 8 875 000 ლარს. დაიწყება დამატებითი სასწავლო შენობებისა და სტუდენტთა საცხოვრებელი კამპუსების მშენებლობა. სტუდენტთა დახმარების, საზღვარგარეთ სწავლებისა და სტაჟირებისთვის, ჯამში, 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებშიც 1 500 სტუდენტს დაუფინანსდება სწავლება და სტაჟირება.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის ბიუჯეტი 34.2%-ით იზრდება და 5 016 840 ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც 120 ეკომიგრანტი ოჯახი დაფინანსდება. იზრდება პენსიონერთა ხელშეწყობა, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში ჩართულობა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, 200 მილიონი ლარით გაიზრდება ძველი ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება.

- გაიზარდა ყველა სამინისტროს დაფინანსება და თითოეული მუნიციპალიტეტის მიზნობრივი კაპიტალური ტრანსფერები. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი უკვე შეადგენს 51 მილიონ ლარს, რაც მოგვცემს საშუალებას, გავზარდოთ პროგრამები. ეს ეხება როგორც გულის ქირურგიის დაფინანსებას, ასევე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს. აღნიშნული პროგრამით 6000-ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს. ვზრდით დაფინანსებას ეკომიგრანტების ახალი სახლების შესაძენად. 120-ზე მეტი ეკომიგრანტი მომავალ წელს ახალი, უსაფრთხო სახლებით დაკმაყოფილდება.

წელს ჩვენ დავასრულებთ „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველ ეტაპს, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდება 582 მოქალაქე და გაგრძელდება მეორე ეტაპი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ წლებში 100 მილიონ ლარზე მეტი. არცერთი იქ მცხოვრები ოჯახი არ დარჩება თანამედროვე, უსაფრთხო საცხოვრისის გარეშე. მომავალ წელს 17 მილიონი ლარია გათვალისწინებული პროგრამის მეორე ეტაპის განსახორციელებლად, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ნარინჯისფერი რთველის შეუფერხებლად განხორციელებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა, რომელიც ციტრუსის სუბსიდირების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, ჩაქვის ციტრუსის სადემონსტრაციო ნაკვეთში, მეციტრუსე ფერმერებს და მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს შეხვდა. მთავრობის თავმჯდომარემ, მინისტრთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან ერთად, ნარინჯისფერ რთველშიც მიიღო მონაწილეობა და გაზრდილ სუბსიდირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ფერმერებს პირადად გააცნო. იქვე დაანონსდა, რომ ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნება ბათუმში, გოგებაშვილის ქ. № 46-ში და 1 თებერვლამდე იფუნქციონირებს. ამოქმედდება ცხელი ხაზიც, სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღება შეეძლება. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ მიმდინარე წელს 55 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელოდებიან. საექსპორტო მანდარინს ციტრუსის 20-ზე მეტი მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო მიიღებს, რაც შეეხება არასტანდარტულ ნაყოფს, ქობულეთის საკონსერვი ქარხანა მას შეუზღუდავი რაოდენობით გადაამუშავებს.

ფერმერი 1 კგ მანდარინზე 30 თეთრის სუბსიდიას მიიღებს

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი 1 500 000 ლარით გაიზარდა და 31 044 900 ლარით განისაზღვრა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე უძღვებოდა, მოახლოებულ ციტრუსის სეზონზე ისაუბრეს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირება 1 მილიონი ლარით გაიზარდა. ფერმერი, ერთ კილოგრამ მანდარინზე, 15 თეთრის ნაცვლად, 30 თეთრს მიიღებს. როგორც სხდომაზე ითქვა, გაზრდილ კომპენსაციას თითოეული მეციტრუსე ფერმერი მიიღებს.

- მალე დაიწყება ოქროსფერი რთველი. მთავრობამ უკვე გადადგა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები და ამავე სხდომაზე დაანონსდა კიდეც ფერმერებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ფერმერები და ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომლებიც განახორციელებენ არასტანდარტული მანდარინის შესაბამის საწარმოში ჩაბარებას, მიიღებენ 30 თეთრს. აქედან, სახელმწიფოს სუბსიდირება 25 თეთრია, კომპანია კი, თავის მხრივ, დაამატებს 5 თეთრს. ამგვარად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ფერმერებს და დარგის განვითარებას, რათა მომავალში უფრო გაუიოლდეთ სტანდარტული მანდარინის შენახვა-მოვლა, განვავითაროთ ეს დარგი და მეტი სარგებელი მიიღოს აქედან ჩვენმა მოსახლეობამ, რაც არის ჩვენი მთავარი ამოცანა. რეალიზაციის მიმართულებით სამიზნე ქვეყნებს რაც შეეხება, გასულ წელთან შედარებით გვაქვს კარგი მაჩვენებელი და გაცილებით მეტ ხარისხიან მოსავალს ველოდებით, - აღნიშნა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ.

გვერდი მოამზადა
მანანა ტაკიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმის საკრებულოს სხდომა და ოპოზიციის ვერშემდგარი პროტესტი

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

ბათუმის საკრებულოს მორიგ სხდომაზე 24 ოქტომბერს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 12 საკითხზე იმსჯელეს. სხდომაზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შესვენება მოითხოვა - სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებთან მათ კონსულტაციები გაიარეს, შესულიყვნენ თუ არა შესვენების შემდეგ საკრებულოს სხდომაზე, ვინაიდან სხდომაზე „ქართულ ოცნებას“ კვორუმისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა არ გააჩნდა. ოპოზიცია აცხადებს, რომ ბათუმში 4 ცათამბჯენის მშენებლობა „ქართულ ოცნებასთანაა“ დაკავშირებული, ასევე, საჯარო სამსახურებში დასაქმებულ პირებთან, რაც, მათივე თქმით, კორუფციული გარიგების კიდევ ერთი შესაძლო მაგალითია. საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის პროტესტი ვერ შედგა. ისინი კონკრეტულ პროექტებზე კ 2 კოეფიციენტის გაზრდას ეწინააღმდეგებოდნენ. ოპოზიციის გეგმა ნატალია ძიძიგურის დარჩენით ჩაიშალა. შესაბამისად, უმრავლესობამ კ 2 კოეფიციენტის გაზრდა შეძლო. იყო მხარეთა ურთიერთბრალდებები. კრიტიკის საფუძველი გახდა გიორგი გახარიას პარტიის - „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის ნატალია ძიძიგურის გადაწყვეტილება. პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა „ნაციონალური მოძრაობის“ და „ლელოს“ წარმომადგენლებმა დატოვეს.

ის საკითხები, რომელთა ჩაგდებასაც ოპოზიცია აპირებდა, ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში შესატანი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხასა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას სამი ობიექტი დაემატა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, აეროპორტის გზატკეცილის №300ა-ს მიმდებარედ არსებული 74 კვმ და 611 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცემა შემდგომში შპს „ტრანსაუტოსთვის“ იჯარის უფლებით გადაცემის პირობით. აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს კომპანიისთვის 25-წლიანი იჯარით გადაცემული 10001 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიმდებარედ და მისი გადაცემის მიზანია ტერიტორიის სივრცობრივი კონსოლიდირება და დაგეგმილი პროექტის განვითარებისთვის ხელსაყრელი ურბანული გარემოს შექმნა.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების თაობაზე. საკითხი ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, კერძო და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ათვისებას, რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრეებთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. პროექტი მოიცავს კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ 9 უძრავ ქონებას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2 უძრავ ქონებას.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რაც გულისხმობს ცხრა ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“. განკარგულების მიღებას საფუძვლად უდევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვით, 1533-ე მუხლით (გარეგაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი პირად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოსთან ერთად, განისაზღვრა

მუნიციპალიტეტის ორგანოებიც. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრნენ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის, ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტოს, სანდასუფთავების, ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ბათუმის ბულვარის თანამშრომლები.

ასევე მიიღეს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის № 4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც გულისხმობს ცვლილებას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო გზების ნაწილში და ითვალისწინებს ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე შპს „ორბი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საპროექტო გზების გაყვანის საკითხს, ასევე შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული შიდაკვარტალური გზების საპროექტო, საინჟინრო გზების რუკაზე დატანას.

დამტკიცდა განკარგულების პროექტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. ტერიტორიაზე დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა განხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით და ითვალისწინებს ტერიტორიის განახლებასა და განვითარებას, მიწის ნაკვეთების განვითარებას, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისთვის შენარჩუნებას და ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბებას.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიიღეს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის თაობაზე შპს „ველ ბილდინგის“ წინადადება. კომპანია იღებს ვალდებულებას, აითვისოს ბათუმში, მაზნიაშვილის ქ. №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული ავარიული სახლი და ამ მიზნით, ითხოვს დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას, განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას 4,5-მდე, ქ. ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ჩიხი 1 №11-ში მდებარე მიწაზე. კომპანიის მიერ მოხდება ავარიული სახლის 7 მესაკუთრის დაკმაყოფილება და მუნიციპალიტეტის მერიისთვის მომატებული კ2 კოეფიციენტის 10 პროცენტის გადაცემა.

იქვე მიიღეს განკარგულების

პროექტი ადლიის ქ. №53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. ასევე დამტკიცდა გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია „გუმბათი რეზიდენსის“ და „გარდენ ქეის“ მომართვის საფუძველზე.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ზედაღელის ქუჩასა და ზედაღელის შესახვევებს კახი კავსაძის ქუჩა და კახი კავსაძის შესახვევები ეწოდა.

- სამწუხაროდ, პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნატალია ძიძიგურმა „ქართულ ოცნებას“ შეუქმნა კვორუმი. დღის წესრიგში არის საკითხები, რომელიც კ 2 კოეფიციენტის გაზრდას ეხება, რამდენიმე დღით ადრე შემოიტანეს საკრებულოში საკითხი, ჩვენ გაცნობაც ვერ მოვასწარით, - განაცხადა ენმ-ის წევრმა ნოდარ დუმბაძემ.

- გამომდინარე იქიდან, რომ უმრავლესობის წარმომადგენელი ქალბატონი ნინო ცხვარაძე დღევანდელ სხდომას არ ესწრება და „ქართულ ოცნებას“ შესაბამისად ჰყავს 17 დეპუტატი, ოპოზიციამ მივიღეთ ერთგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ დაგვტოვებინა საკრებულოს სხდომა კვორუმის არარსებობს გამო, თუმცა ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, რომ დარჩეს სხდომაზე, - აღნიშნა ვაჟა დარჩიამ, ბათუმის საკრებულოს წევრმა „ლელოდან“.

- ჩემი მიდგომები მაქვს, ვარ დამოუკიდებელი დეპუტატი და მაქვს ჩემი პოზიცია ყველგან. ყოველთვის ვაფიქსირებდი იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის პოლიტიკური ბრძოლის ველი. სადაც ვარ, იქ კრიზისს არ დავუშვებ. ჩემი მოვალეობა და მიზანია, რომ ქალაქის დაკვეთა რაც არის, შესრულდეს, - განაცხადა ნატალია ძიძიგურმა.

ამბები

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს შეხვდა. შეხვედრაზე, ძირითადად, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე, ასევე, რეკრეაციული სივრცეების, გარეგანათებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობასთან დაკავშირებით ისაუბრეს. ბათუმის მერმა მოსახლეობას ამავე დასახლებაში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც გააცნო. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, საკითხები, რომლებზეც მოქალაქეებმა გაამახვილეს ყურადღება და რომელთა გადაწყვეტა მათთვის მნიშვნელოვანია, უახლოეს პერიოდში გადაიჭრება. ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

* * *

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ხელვაჩაურის მერიამ საპილოტე პროექტი შექმნა და გამარჯვებულიც გამოავლინა. შეხვედრას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლები და კომისიის წევრები ესწრებოდნენ. პროექტი „ქალთა ოთახს“ ეკუთვნის და მისი მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, უფრო მეტი ადამიანის დასაქმება. მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით, დაფინანსების მიღების სურვილი ხელვაჩაურში მცხოვრებმა 15-მა ქალმა გამოთქვა, თუმცა მათგან კომისიამ 8 შეარჩია. პროექტის ბიუჯეტი 15 000 ლარია, რაც, მერის თქმით, სამომავლოდ გაიზრდება. შეხვედრის ბოლოს კონკურსში გამარჯვებულ რვა მეწარმესთან ხელშეკრულებები გაფორმდა. პროექტის მონაწილე ქალები აცხადებენ, რომ მსგავსი პროექტები ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ხელს შეუწყობს, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და სოფლებიდან მიგრაციის პროცესი შეჩერდება.

* * *

წლების განმავლობაში მოსახლეობა სოფლების - ქვედა აქუცისა და ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობას ითხოვდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ამ სასიცოცხლო არტერიის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა. მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გენადი ანანიძემ, მერის წარმომადგენელმა ვაიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაზიმ ჩხეიძემ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ვაჟა აბულაძემ აღნიშნული სოფლების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები მოინახულეს. პროექტი მასშტაბურია. მის ფარგლებში გაკეთდა: რკინა-ბეტონის კიუვეტი ცხაურით, გაბიონი და ბეტონის საყრდენი კედლები, წყლის მილები, ლითონის ხიდი. მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა, მიმდინარეობს დამცავი ზღუდარების მოწყობა, რაც უახლოეს პერიოდში დასრულდება. კეთილმოწყობილი, 1080-მეტრიანი საავტომობილო გზით სამი სოფლის 200-მდე ოჯახი ისარგებლებს. სამუშაოებს შპს „ბონდი 2009“ ასრულებს, რომლის ბიუჯეტი 1 341 333 ლარს შეადგენს.

* * *

სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ კურორტ გოდერძიზე ახალი ქვესადგურის აშენებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. „კურორტი გოდერძი ელექტროენერგიით ახალი, თანამედროვე ტიპის ქვესადგურიდან მარაგდება. მაღალი ძაბვის ქვესადგური უკვე შევიდა ექსპლუატაციაში და ეტაპობრივად ხორციელდება აბონენტების მასზე დაერთება. „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 3 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა ახალი ქვესადგურის მშენებლობისთვის, რომელიც თანამედროვე ტიპის ელექტრომოწყობილობებითაა აღჭურვილი, დამონტაჟებულია დისტანციური მართვის მოწყობილობა. მის მართვას კომპანიის ცენტრალური სადისპეტჩერო დისტანციურად ახორციელებს. ახალი ქვესადგურის მშენებლობით კურორტი გოდერძი საიმედო და ხარისხიანი ელექტროენერგიით მარაგდება“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალური პირველობის ჩატარებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამჯერად, მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხულოს საფეხბურთო კლუბ ხიხანის“ ორგანიზებით, ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის ტურნირი ფეხბურთში დასრულდა. ასპარეზობა 7 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მუნიციპალიტეტის 12 სხვადასხვა ორგანიზაციის გუნდი მონაწილეობდა.

* * *

20-21 ოქტომბერს ბათუმმა ორდღიან ფერად ფესტივალს „ბულვარის ფესტივალი 2023“ უმასპინძლა. იგი სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ორგანიზებით მოეწყო. ერთი დღე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას სახელწოდებით „რეკრეაციული პარკების მართვა და შესაძლებლობები“ დაეთმო. ორგანიზატორებმა მეორე დღეს მრავალფეროვანი სანახაობრივი პროგრამა შესთავაზეს სტუმრებს.

* * *

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში რიგით მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვე კონტექსტში“ გაიმართა, რომელზეც საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებმა როგორც საქართველოდან, ასევე, უცხოეთიდან, სამეცნიერო მიმართულების ნაშრომები წარადგინეს და ყურადღება გაამახვილეს კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით არსებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და გამოწვევებზე. ასევე, იმსჯელეს თანამედროვე კულტურის მიმართულებებზე, მეთოდებსა და ტენდენციებზე.

* * *

ბათუმში, ე.წ. ოცნების ქალაქში, სადაც მოქალაქეები საპროტესტო აქციას მართავდნენ, სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება მოხდა. მოქალაქეებმა რამდენიმე წუთით ფრიდონ ხალვაშის ქუჩა გადაკეტეს. სამართალდამცავებმა ერთი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლით დააკავეს, ორი კი ტერიტორიიდან განარიდეს. შეკრებილები აჭარის მთავრობას მიმართავდნენ და მოუწოდებდნენ, გაეფორმებინათ „ოცნების ქალაქის“ მცხოვრებლებისთვის საგარანტიო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ისინი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდებიან.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

მივიღებთ თუ არა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს და რას ფიქრობენ პოლიტიკოსები ხათუნა სამნიძის განცხადებაზე?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას ელოდება, გადაწყვეტილების მიღების დრო - დეკემბერი მოახლოებულია. საქართველოს საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრით, სტატუსის მინიჭება ქვეყანას პროგრესისკენ უბიძგებს და განვითარების უფრო მაღალი ეტაპი დაიწყება

ამ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციასა და მმართველ გუნდში სხვადასხვა მოსაზრებაა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველო და ქართველი ხალხი სტატუსს იმსახურებს, ოპოზიციის გარკვეული ნაწილის თქმით კი სტატუსი არ გვეკუთვნის, რადგან მთავრობა ამისთვის არაფერს აკეთებს, ევროკავშირის რეკომენდაციებსაც არ ითვალისწინებს.

მოქმედი ხელისუფლების წევრებმა არაერთხელ გააჟღერეს, რომ ოპოზიცია ხელს უშლის სტატუსის მიღებას.

ამ ფონზე, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე აცხადებს, რომ ოპოზიციის რიგებში არიან ადამიანები, რომლებიც ევროპელ პარტნიორებთან დახურულ კარს მიღმა საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება უნდა გადავადდეს - მხოლოდ 2024 წლის არჩევნების შემდეგ უნდა მიენიჭოს.

დღეს პოლიტიკოსები გვიპასუხებენ შეკითხვებზე: - ზოგადად, რა მოლოდინი აქვთ კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით და რას ფიქრობენ ხათუნა სამნიძის განცხადებაზე?

ლადო მგალობლიშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:

- კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინი მაქვს, რადგან საერთაშორისო სიტუაციას და რეგიონში მიმდინარე პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენ უნდა მოგვცენ კანდიდატის სტატუსი და ეს იქნება, პირველ რიგში, პოლიტიკური გადაწყვეტილება. წინასწარ ევროკავშირისგან რაც ისმის, მაგალითად ის, რომ მოლდოვა და უკრაინა გადადიან შემდეგ ეტაპზე, თუმცა ის ვალდებულებები, რაც ჰქონდათ, არ შეუსრულებიათ... მაგრამ ესეც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამიტომ გადადიან. ძალიან სამწუხაროა დესტრუქციული ოპოზიციის ქმედებები - ჩადიან სხვადასხვა ქვეყანაში და ითხოვენ, რომ არ მოგვცენ კანდიდატის სტატუსი. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ხელს შეუშლით ხელისუფლების ხელშიჩაგდებაში, ანუ ამას პირადი პოლიტიკური გამორჩენის მიზნით აკეთებენ. ეს არის დიდი მავნებლობა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხის ძირითად ინტერესებს, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის ოჯახის წევრი. რაც შეეხება სამნიძის განცხადებას, ორმაგი სტანდარტი ჩვენს პოლიტიკაში უნდა დამთავრდეს. ვინ არიან ეს ადამიანები, ჩვენ ყველამ ვიცით - „ნაციონალური მოძრაობა“ და მის ბლოკში შემავალი პარტნიორები, რომლებიც ღიად ვერ ბედავენ თქვან, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს, მაგრამ დახურულ კარს მიღმა დიდი ხანია ამას აკეთებენ. ეს არის დიდი მავნებლობა და ანტიქართული საქმე. ამიტომაც არიან ისინი ურეიტინგო და ნდობის მიღმა დარჩენილი ადამიანები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს თქვა ქალბატონმა ხათუნამ, რადგან ამას ხელისუფლების წარმომადგენლები სულ ვამბობდით, მაგრამ ოპოზიციონერიც რომ ამას იტყვის, სხვა ძალა აქვს. მე ამ გაბედული ნაბიჯისთვის და განცხადებისთვის მას, როგორც პოლიტიკოსს, ნამდვილად შევაქებდი.

ვაშა დარჩია, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“:

- სურვილი მაქვს, რომ მოგვცენ სტატუსი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ თავისი ნაბიჯებით ამ პროცესს მხოლოდ ხელს უშლის. ამის დასტური იყო ბატონი ბორელის შეფასებები რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით თბილისში ვიზიტისას, ფარცხალაძისადმი დამოკიდებულება, პრეზიდენტის იმპიჩმენტი - ეს ის საკითხებია, რომელთა მიმართ „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება არ იყო იმ ხელისუფლების, რომელიც კანდიდატის სტატუსს ელოდება. იმედი მაქვს, რომ გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები დაინახავენ იმის აუცილებლობას, რომ მოგვცენ სტატუსი, 12-პუნქტიანი რეკომენდაციების დიდი ნაწილის შეუსრულებლობის მიუხედავად. ბარემ ისიც თქვას ქალბატონმა ხათუნამ, ვინ საუბრობს, ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა. დღეს გვაქვს შანსი, რომ ეს შესაძლებლობა რეალობად ვაქციოთ და ყველა ადამიანის ვინაობა, ვინც ამას ხელს უშლის, უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ერთია ოპოზიციის კრიტიკა ხელისუფლებისადმი 12 პუნქტთან დაკავშირებით, მეორეა ის, რომ თითოეულმა ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ წლის ბოლოს სტატუსი მივიღოთ.

მურმან დუმბაძე, „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშია“:

- ევროკავშირის სტატუსი გვინდა, მაგრამ გვინდა ერთია და გვეკუთვნის თუ არა - მეორე. როდესაც ქვეყანა უკიდურესი ავტორიტარიზმის რეჟიმშია, ბუნებრივია, მას სტატუსი კიდევ უფრო გაუფუჭებს საქმეს. ჩვენ სტატუსის მიღებით მივიღებთ მხოლოდ სათაურს და მე სტატუსი მხოლოდ სათაურად კი არ მინდა, არამედ მინდა, შინაარსიც იკითხებოდეს. ვგულისხმობ, რომ ქვეყანა უნდა იყოს დემოკრატიული, იყოს პლურალიზმი, საარჩევნო სისტემა იმდაგვარად იყოს მოწყობილი, რომ ყველა მოქალაქეს ერთი ხმა ეკუთვნოდეს და იყოს მეტი დემოკრატია. ეს არის უმთავრესი ამოცანა და როცა ეს შესრულდება, მაშინ სტატუსსაც აუცილებლად მივიღებთ. ახლა რაც შეეხება ხათუნა სამნიძის განცხადებას, ვფიქრობ, რომ ეს არის, უბრალოდ, წამოცდენა, ხოლო თუ არ არის წამოცდენა, მაშინ (მე პოლიტიკაში პატივს ვცემ გაბედულებას) მან აუცილებლად უნდა დაასახელოს, ვინ არის ასეთი ოპოზიციონერი, რომელიც ევროპაში ჩადის, ხვდება წარმომადგენლებს და ამბობს, რომ სტატუსი უნდა გადავადდეს. პირადად მე არ მგონია, რომ ოპოზიციის ასეთი წარმომადგენლები რეალურად გვყავდნენ.

ტიტე აროშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

- ევროკავშირის მისამართით ჩვენი გზავნილი, ქართველ მოსახლეობასთან ერთად, არის მხოლოდ ის, რომ აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრი. მანამდე არის საკმაოდ დიდი გამოწვევებით სავსე გზა, მაგრამ აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ამ ეტაპზე მივიღოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. კონსტიტუციურად ეს გაცხადებული გვაქვს და თუ რომელიმე ბნელი ძალა, ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ოპოზიციას, ხელის შეშლას აპირებს, ეს მათი პოლიტიკაა, რასაც ჩვენი მოქალაქეებიც ხედავენ და მათ ქმედებებს პასუხს გასცემენ არჩევნებზეც. ჩვენ ყველა აქტივობას ვახორციელებთ თანმიმდევრობით და მიზანმიმართულად, რათა მივიღოთ ევროკავშირის წევრობის სტატუსი. დღეს, მოგეხსენებათ, როგორც რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში გეოპოლიტიკურად საკმაოდ დაძაბული ვითარებაა როგორც ეკონომიკურად, ასევე თავდაცვის კუთხით და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ჩვენი ერთ-ერთი გადარჩენის გზაა, რომელსაც მივყვებით თანმიმდევრულად. საქართველოს ამ სტატუსზე ჰქონდა შეტანილი განაცხადი ერთი წლის წინ, თუმცა გასაკვირია, რომ არ მოგვცეს, რადგან საკმაოდ ბევრი ვალდებულება გვქონდა შესრულებული. ყველას აქვს უფლება, განაცხადი შეიტანოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, როგორც შეიტანა მოლდოვამ, უკრაინამ და, შეიძლება ითქვას, მათთვის ამ სტატუსის მინიჭება იყო სამართლიანი, თუმცა ჩვენც ვიმსახურებდით. ასე რომ, ჩვენ ველოდებით და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ევროკავშირმა მოგვცეს სტატუსი, შემდგომ კი გავაგრძელოთ იმ ვალდებულებების შესრულება, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა გვაკისრებს. რაც შეეხება ქალბატონი ხათუნა სამნიძის განცხადებას, ეს არ არის ახალი ოპოზიციის მხრიდან. ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ თითქოსდა დადიან ევროპაში და აკეთებენ ყველაფერს, რომ ევროკავშირის სტატუსი მივიღოთ, მაგრამ ფაქტები მეორეზე მეტყველებს. თვითონ ხათუნა სამნიძეც აღიარებს, რომ ჩვენ გვერდით, ოპოზიციაში, არიან ძალები, რომლებიც დადიან ევროკავშირის წარმომადგენლებთან და ცრუ ინფორმაციებს აწვდიან საქართველოს აქტივობების შესახებ. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ჯანსაღი ოპოზიცია, ოპოზიციაში უნდა იყოს კონკურენტული გარემო, მაგრამ ლიდერომანია არ მთავრდება. შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჩვენი ხელისუფლება ნახავს გამოსავალს, გააგრძელებს თავის საქმიანობას ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე და ჩვენ აუცილებლად მივიღებთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს.

საარჩევნო ადმინისტრაციების მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია – ბათუმში

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან (უსკო) ერთად საარჩევნო ადმინისტრაციების მე-11 საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციის მთავარი თემა იყო „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია არჩევნებში“

კონფერენციაში სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების 100-ზე მეტი წარმომადგენელი 25-ზე მეტი ქვეყნიდან მონაწილეობდა.

ღონისძიება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონიამ და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა რენატა ლევოვსკიმ გახსნეს.

ელექტრონული ხმის მიცემის დანერგვა - გამოწვევები და ეფექტური გადაწყვეტილებები, ციფრული ტექნოლოგიები არჩევნებში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული დეზინფორმაციული კამპანია და მისი პოტენციური გავლენა საარჩევნო შედეგებზე, ამომრჩეველთა ჩართულობის გაძლიერება, მათივე განათლების უზრუნველყოფითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა - შეხვედრის მონაწილეებმა ამ საკითხებზე ორი დღის განმავლობაში იმსჯელეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. გიორგი კალანდარიშვილმა მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში“. მან დეტალურად ისაუბრა ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტების გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარება ხელს უწყობს როგორც ეფექტურ თანამშრომლობას, ასევე, სანდო არჩევნების ჩატარებას და, ზოგადად, დემოკრატიის განვითარებას.

- ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ან საარჩევნო ადმინისტრაციის გამოწვევა, ეს არის მრავალი ქვეყნის გამოწვევა, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, როდესაც დეზინფორმაციის, ცრუ ნარატივების გავრცელებას არ აქვს საზღვრები. ჩვენ, საარჩევნო ადმინისტრატორებს გვმართებს პასუხისმგებლობა არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაში, რომ ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველვყოთ ისეთი მექანიზმების შემუშავება და შექმნა, რომელიც მოემსახურება საზოგადოების სწორ და ობიექტურ ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, - განაცხადა ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა.

- რა თქმა უნდა, საკითხი არის აქტუალური, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის და ის, ძირითადად, ეხება დეზინფორმაციის გავრცელების სიმწვავეს და პრობლემას არჩევნების დროს. დეზინფორმაცია ხორციელდება არა მხოლოდ არჩევნების დროს, არამედ ამ პერიოდში უფრო პრობლემურია და მეტ მასშტაბსაც იძენს, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონიამ.

- ბოლო წლებში განვახორციელეთ ამბიციური საარჩევნო რეფორმა. მოგეხსენებათ, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული წესით და იცით, რომ განსაკუთრებული სიახლე შეეხება არჩევნებში ელექტრონული საშუალებების გამოყენებას. მნიშნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოება იყოს მეტად ინფორმირებული, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა.

საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან ერთად ორი დღის განმავლობაში უძღვებოდა, გუშინ, 26 ოქტომბერს, დაიხურა.

„მთავარ გამოწვევად რჩება ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რაც ძალიან სასიამოვნო სიახლეა აქაურებისთვის. სამუშაოების ძირითადი მიზანი ქობულეთელების ლამაზ გარემოში ცხოვრება და ტურისტების მოზიდვაა. ინფრასტრუქტურა ეწყობა, ასევე, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში. იგება გზები, ეწყობა გარეგანათებები, ხორციელდება წყალმომარაგების პროექტები, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებთათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

აღნიშნულ თემაზე გვესაუბრა ქობულეთის მერის პირველი მოადგილე ***დავით ვერულიძე.***

- უკვე 2023 წლის მიწურულია. უფრო კარგად გავაცნოთ საზოგადოებას, ამ წელს რა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში?

- ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოებია და ამ მიმართულებით მრავალმხრივ პროექტებს ვახორციელებთ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში გზებზე ბეტონის საფარი მოეწყო, რაზეც ორ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით მოვაწყვეთ ჭაბურღილები, რომლებიც უკვე ექსპლოატაციაშია ჩაშვებული. ასევე, გამოვყოფ მრავალბინიანი სახლების გადახურვის სამუშაოებს. ქალაქ ქობულეთში, სხვადასხვა სოფელში და მათ შორის დაბა ჩაქვში ეზოები მოვაპირკეთეთ და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა ეზო არ მოეწყობა. აუცილებლად აღსანიშნავია, არაერთი სკვერის მოწყობა და გალამაზება სოფლებსა თუ ქალაქში. დაწყებულია დაბა ჩაქვის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციაც და მთლიანად იცვლება ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კეთილმოეწყო სხვადასხვა გადასასვლელი აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის ქუჩაზე, ამჟამად კი, ქობულეთის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციასთან ერთად სადგურის ტერიტორიაზე ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

- როგორც ცნობილია, ქალაქში ცენტრალური პარკის განახლება მიმდინარეობს. რა სამუშაოები ტარდება და როდისთვის გაქვთ დაგეგმილი დასრულება?

- ცენტრალური პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები, მართლაც აქტიურ ფაზაშია, იქმნება თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურა, ეწყობა სხვადასხვა თემატური პარკი თვითონ ცენტრალურ პარკში. სრულად გარემონტდება ამფითეატრი, შადრევნები და იქნება ერთ-ერთი ძალიან ლამაზი ლოკაცია ადგილობრივებისა და სტუმრებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

- რომელი კომპანია ახორციელებს აღნიშნულ პროექტს?

- პარკის რეაბილიტაციას „ჯორჯიან სტოუნი“ ახორციელებს.

- რა თანხა არის ბიუჯეტიდან გამოყოფილი პარკის რეაბილიტაციისთვის?

- 6 მილიონ ლარამდე იხარჯება აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად და გულისხმობს მთლიანად პარკის მოდერნიზაციას.

- რა არის ძირითადი მოტივი, რის გამოც ხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები?

- ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვის ვაანონსებდით, რომ ჩვენი მიზანია, პირველ რიგში, ქობულეთის მოსახლეობისა და შემდგომში - ტურისტებისთვის შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ქობულეთელებსაც გაახარებს და ამასთანავე, უფრო მეტ ვიზიტიორს მოიზიდავს. მთავარი მიზეზიც და მოტივიც ეს არის.

- როგორ ფიქრობთ, რა არის ძირითადი გამოწვევა ქალაქ ქობულეთისთვის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით?

- მთავარ გამოწვევად რჩება, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ტურისტებს საშუალებას მისცემს ინფრასტრუქტურით ლამაზ და სასიამოვნო გარემოში გაატარონ დასვენების დღეები.

- 2024 წელს რა სიახლეებს უნდა ელოდეს ქობულეთის მოსახლეობა, რას ჰპირდება მათ მერია?

- იგეგმება ფიჭვნარის ტერიტორიაზე დარჩენილი კილომეტრნახევრიანი სანაპიროს მოწყობა-მოპირკეთება, რასთან დაკავშირებითაც უკვე ტენდერი გამოვაცხადეთ. გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება, დაიწყება სამუშაოები და ამით დასრულდება სანაპირო ზოლის ძირითადი ნაწილის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, გვინდა ვახაროთ ჩვენს მოსახლეობას, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტმა უკვე შეისყიდა აღმაშენებლის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაციის პროექტი, რაც გულისხმობს ტროტუარების მთლიანად კეთილმოწყობას და ახალი თანამედროვე ტიპის გარეგანათების დამონტაჟებას. როგორც აღვნიშნეთ, გარე ფასადების მოწყობა ახლაც მიმდინარეობს და მომავალ წელსაც აქტიურად გაგრძელდება. ასევე, მომავალ წელს გაგრძელდება სოფლებში გზებზე ბეტონის საფარის დაგება. ჩვენი მიზანია, მალე არცერთი სოფელი არ დარჩეს გზის გარეშე და სოფლის მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მოასფალტებული ან ბეტონირებული გზით მივიდეს. ასევე, მიმდინარე წელს, ჩვენ დაახლოებით, 4 მილიონ ლარზე მეტს ვხარჯავთ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სამუშაოებისთვის და სტიქიის შედეგად განვითარებული მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის, რაც გულისხმობს ფერდსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოებს და ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავქტიურდებით, რადგან ძალიან ბევრი ოჯახია დარჩენილი, რომელიც ელოდება აღნიშნული პროექტის განხორციელებას და გაისადაც აქტიურად ვიმუშავებთ. ქობულეთის მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს პროექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობასთან დაკავშირებით. ძალიან მალე გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი და აშენდება ორი ათასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც გადაეცემა ეკომიგრანტებს და გათვლილია 120 ოჯახზე.

> ***„გვინდა ვახაროთ ჩვენს მოსახლეობას, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტმა უკვე შეისყიდა აღმაშენებლის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაციის პროექტი, რაც გულისხმობს ტროტუარების მთლიანად კეთილმოწყობას და ახალი თანამედროვე ტიპის გარეგანათების დამონტაჟებას“***

პრობლემა

ქალაქი, სადაც ნარკოტიკები „ყრია“ (!)

მოიკითხეთ, სად ატარებენ შვილები მთელ დროს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„თუ გნებავთ, დაგიმტკიცებთ, ახლავე შევალ ინტერნეტში, გამოვიწერ ნარკოტიკს და ბათუმში რომ ჩავალთ, უკვე დამხვდება მითითებულ ადგილზე“, - მითხრა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სოფლიდან ქალაქში მომავალ გზაზე, როცა საუბარი აღნიშნულ პრობლემას შეეხო და იქვე დასძინა: „მე არასდროს მომიხმარია ნარკოტიკი, მაგრამ მყავს ნაცნობები, რომლებიც ამას აკეთებენ და ჩემი თვალით მინახავს, რა და როგორ ხდება“

მართალია, ექსპერიმენტი არ ჩაგვიტარებია, თუმცა ფაქტია და შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული თრობის მიღება ადვილად ხელმისაწვდომია და ვისაც ეს სურს, თითქმის ყოველგვარი წინაღობის გარეშე აღწევს.

აღნიშნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ირკვევა, რომ მიმდინარე წელს, ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით, უწყებამ ნარკოტიკულ ზემოქმედებაზე 1436 ადამიანი შეამოწმა, რომელთაგან ნარკოტიკული თრობა 1030-ს დაუდასტურდა. საგანგაშოა ისიც, რომ ამ სტატისტიკაში 6 არასრულწლოვანია, მათგან 3-ს კი ნარკოტიკული თრობა დაუდასტურდა. გავრცელებული მონაცემების მიხედვით, უწყების თანამშრომლებმა მესამე კვარტალში ყველაზე მეტი - 800 მამაკაცი 25-44 ასაკობრივი კატეგორიიდან შეამოწმა, საიდანაც დადებითი ნარკოლოგიური შედეგი 584-ს აღმოაჩნდა.

რაც შეეხება ქალებს - ყველა ასაკობრივი კატეგორიიდან შემოწმებულ 37 ქალს შორის ნარკოტიკული თრობა 10-ს დაუდასტურდა.

აღნიშნულ თემაზე გაზეთ „აჭარას“ ერთ-ერთი ადამიანი ესაუბრა, რომელიც „მეტადონის“ პროგრამაშია ჩართული. მისი თხოვნით, სახელსა და გვარს არ ვასაჯაროებ, თუმცა უცვლელად გთავაზობთ მონაყოლს.

- უკვე დიდი ხანია, „მეტადონის“ პროგრამაში ვარ ჩართული. ჩემთან ერთად არაერთი ადამიანია ჩართული პროგრამაში და ვართ ბაზაში, მაგრამ არსებობს მეორე პროგრამა - „სუბოქსინის“, რომელიც ბაზაში არ ჩანს, ფასიანია და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი შეძენა. მოკლედ, 20 ლარად „ზახოდს“ დაითრევ, აი, მთავარი ტანჯვა შემდეგ იწყება... რაღაც პერიოდი მოდიხარ აზრზე, ხვდები, რომ კარგავ ცხოვრებას, ძვირფას ადამიანებს, მაგრამ ვეღარ „გადააგდებ“. იმ დონის საშინელი წამალი შემოდის, ერთხელ თუ მიიღე, მეორე დღესაც გჭირდება, რომ სიცოცხლე გააგრძელო, ფსიქოტროპული აფთიაქები კი სულ სხვა თემაა. მიხვალ „მაგნოლიის“ კორპუსის პირველ სართულზე და შეიძენ, რაც გინდა, არავინაა მომკითხავი, ყველგან „ყრია“ ნარკოტიკი, რა ფასის გინდა, სულო და გულო. მე რა, უკვე 45 წელს გადავბიჯე, ის თაობა მენანება, რომელიც იღუპება. მშობლები მთელი დღე დაკავებულები არიან, ვერ ხედავენ, მათი შვილები რა საწამლავს იღებენ. ჩემს მეზობელს რომ ვუთხარი, შენი შვილი კაიფშია-მეთქი, აქეთ გამლანძღა - შენ ყველა შენნაირი ნარკომანი გგონიაო. მინდა ვთხოვო ყველა მშობელს, მეტი ყურადღება მიაქციეთ შვილებს. თქვენ გგონიათ, რომ ისინი უნივერსიტეტში, სხვა სასწავლებლებში ლექციაზე სხედან, არადა, გახედავ, ხან რომელი წამლის ასაღებად „ჩალიჩობენ“ და ხან - რომლის. ალბათ იფიქრებთ, რატომ მიყვება ამასო, მაგრამ არ მინდა, ამ ბავშვებმაც ჩემსავით უინტერესოდ გაატარონ ცხოვრება. საკუთარი დის ქორწილმა ისე ჩაიარა, ვერაფერი გავიგე ნარკოტიკულ თრობაში მყოფმა. აბა, ეს ცხოვრებაა?! აბა, ეს ნორმალური საქციელია?! მაგრამ რა ვქნა, ვცადე და ვერ მოვერიე თავს, ისევ მივუბრუნდი. სულ ვფიქრობ, ნეტა არ დავბადებულიყავი, თუ ასეთი საშინელი ცხოვრება უნდა გამევლო, მაგრამ დავიბადე და საკუთარი ჯვრის ზიდვა მიწევს, თავს ნამდვილად ვერ მოვიკლავ, ეგ მაგარი სისულელე მგონია. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია, ისაა, მომავალ თაობას ვუთხრა, ვურჩიო, არ გაეკარონ ამ საშინელებას, არ მოიწამლონ ცხოვრება და ორგანიზმი ამ მარაზმით. იცით, ბევრ ახალგაზრდასთან მისაუბრია და მათ შორის აღმოჩენილან ისეთებიც, ვინც დამიჯერა. დამეთანხმებით, სულ სხვაა, საკუთარ გამოცდილებაზე როცა ესაუბრები ადამიანს, როცა ისინი ხედავენ, რას დაგამსგავსა ნარკოტიკმა ერთ დროს სიმპათიური ბიჭი, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა გოგოებში. ამ საშინელებას წამალსაც ვერ ვუწოდებ, ჩვენ რასაც მოვიპოვებთ, ნაგავი ჰქვია. საკუთარი სხეული ნაგვის ურნა მგონია, რომელსაც არასდროს მოაკითხეს, რომ დაცალონ და ისიც ყარს. გთხოვთ, გთხოვთ, შვილები სად ატარებენ მთელ დღეებს და რას აკეთებენ, მოიკითხეთ, მშობლებო, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიანი, - მითხრა რესპონდენტმა, რომელსაც გაქვავებულთვალებიანი ბიჭი შევარქვი, ადამიანი, რომლის ემოციაც არაფერს ამბობს, დიდი ტკივილის გარდა...

> ***„სულ სხვაა, საკუთარ გამოცდილებაზე როცა ესაუბრები ადამიანს, როცა ისინი ხედავენ, რას დაგამსგავსა ნარკოტიკმა ერთ დროს სიმპათიური ბიჭი, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა გოგოებში. ამ საშინელებას წამალსაც ვერ ვუწოდებ, ჩვენ რასაც მოვიპოვებთ, ნაგავი ჰქვია. საკუთარი სხეული ნაგვის ურნა მგონია, რომელსაც არასდროს მოაკითხეს, რომ დაცალონ და ისიც ყარს“***

მისი სოფლის სახლი ამბავია, რომლის მოყოლაც ქვიშა-ცემენტით დაიწყო და...

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ფეისბუქგვერდზე პოსტების სახით ხშირად აქვეყნებს ამა თუ იმ ისტორიას, ამბავს თუ ჩანახატს. ვინც კი იცნობს, ყველა ერთხმად დამეთანხმება, რომ არაჩვეულებრივად წერს. რა გასაკვირია, ის ხომ ჩვენი გაზეთის უფროსი დამკაბადონებლის, ჟურნალისტ ავთო ვადაჭკორიასა და ისტორიის პედაგოგ რუსუდან ვადაჭკორიას შვილია

ჩვენი სტუმარი გონებამახვილი, ენაწყლიანი, თავისებური იუმორის მქონე ***ამირან ვადაჭკორია****. ამ ჩამონათვალის სიზუსტეში მისი პასუხები დაგარწმუნებთ. ამირანი წლებია, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში მემონტაჟედ მუშაობს, პარალელურად ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მონტაჟს ასწავლის. თავდაპირველად ინტერვიუზე უარი გვითხრა, რადგან არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, თვითკრიტიკული და მორიდებულია, თუმცა არ დავნებდი და შედეგიც სახეზეა - გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

- ამიკო, რამდენად გიყვართ თქვენი საქმიანობა, რადგან, ერთი შეხედვით, შეუსაბამოა ადამიანისთვის, რომელიც ასე კარგად წერს და რომელსაც შემოქმედის სახელი აქვს დამკვიდრებული ბათუმში, თუმცა ჯერ არც ერთი წიგნი არ გამოუქვეყნებია.

- ამ თითქოსდა ერთ შეკითხვაში რამდენიმე კითხვა და შეფასებაა, რომლებიც, მინიმუმ, სადავოა, ამიტომ პასუხების გაცემასაც რიგითობით დავიწყებ, ანუ - ბოლოდან. ნიშნიანიძეს აქვს ასეთი ლექსი:

„ზოგს დიდოსტატის მკლავი უკურთხეს
(როგორ არ არის გასაოცარი),
არ მოუჭრია ერთი ჩუქურთმა,
ისეა დიდი ხუროთმოძღვარი“.

ამბობთ, შემოქმედის სახელი გაქვთ ქალაქშიო (რაც, თავისთავად, საკამათოა) და დასძენთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ წიგნი არ გამოგიციათო, მაგრამ ყველაზე უცნაურია - „ჯერ“, თითქოს საუბარი რაღაც გადაწყვეტილ ამბავს ეხება, რომელიც როდესმე განმეცხადებინოს, ანაც მისი გარდუვალობა კოჭებში მეტყობოდეს. თუმცა გადავალ კითხვის თავში და შევეცდები, მოკლედ ავხსნა საქმიანობა, რომელიც, ერთი შეხედვით, შეუსაბამოა ადამიანისთვის, რომელიც კარგად წერს. ეს საქმიანობა არის მონტაჟი. მონტაჟი, როგორც ბევრი სხვა პროფესია, ტექნიკურთან ერთად, შემოქმედებით ნაწილსაც მოიცავს და მისი მთავარი ფუნქცია თხრობაა. მართალია, კინო და, საერთოდ, აუდიო-ვიზუალური ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიტერატურულისგან, თუმცა საერთო მაინც უფრო მეტი აქვთ, ამიტომ, ვფიქრობ, კარგი მემონტაჟე, ტექნიკური უნარების ქონასთან ერთად, სასურველია, კარგი მთხრობელიც იყოს.

- რა გაიძულებთ წერას და რატომ არ ფიქრობთ თქვენი ტექსტების გამოქვეყნებაზე?

- იძულების რა გითხრათ, მაგრამ წერაში, ალბათ, სოციალურ ქსელში, პერიოდულად პირად გვერდზე დადებულ პოსტებს გულისხმობთ. რა თქმა უნდა, ფორმალური კუთხით, მართალი ბრძანდებით, ეგეც წერაა (ისევე როგორც ეს მიმოწერა), მაგრამ, ამავე ლოგიკით, რახან ღიად დევს, შესაბამისად, გამოქვეყნებულიც არის, თუმცა, თუ გამოქვეყნებაში ბეჭდვას ან ტექსტების სხვა მეთოდებით გავრცელებას გულისხმობთ, მაშინ გეტყვით, რომ, ჩემი აზრით, მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. დროის კონკრეტულ პერიოდში პირად გვერდზე დადებულმა ამა თუ იმ ტექსტმა (რომელსაც ჩემი ფეისბუქმეგობრების სახით განსაზღვრული აუდიტორია ჰყავს) რაღაც პერიოდის შემდეგ უნდა აიაროს სიახლეების გვერდი (ე. წ. ნიუსფიდი) და აუცილებლად ჩაიკარგოს ფეისის უსასრულო ჯურღმულებში, იმ ტიპის წერა კი (რასაც, სავარაუდოდ, თქვენ გულისხმობთ) მოითხოვს ძირეულად სხვა მიდგომას, სხვა ძალისხმევას და, რაც მთავარია, მარადისობასთან შეთამაშების მოკრძალებულ ამბიციას.

- თუ გაქვთ მოზრდილი ნაწარმოებები, რომლებსაც სხვას არავის უმხელთ?

- არა, თუმცა რომ მქონდეს და არ ვამხელდე, არ გავამხელდი.

- თუ გაქვთ მწერლისთვის დამახასიათებელი ჩვევები? როგორც ვიცით, სხვადასხვა ქალაქში ჩასვლა და ხეტიალი გიყვართ.

- მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფიებს დიდად ვერ ვიმახსოვრებ, არ მგონია, მწერლებს ჰქონდეთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. მეტიც, დარწმუნებული ვარ, თუ რომელიმე მწერალი დანაშაულს ჩაიდენს, ძებნილის მონაცემების ცხრილის წაკითხვისას, გრაფაში - განსაკუთრებული ჩვევები - ყველა სხვა მწერალთან საერთოს, იმის გარდა, რომ წერა-კითხვა იცოდა, ვერაფერს უპოვით, მეტიც, შესაძლოა მწერლისთვის წერა-კითხვის ცოდნაც არ იყოს აუცილებელი (მაგალითად, უამრავი საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსია, ნოტების გარჩევა რომ არ იცის), სხვადასხვა ქალაქში ჩასვლა და ხეტიალი კი ნამდვილად მიყვარს. შეიძლება ვთქვა - გარემოზე დაკვირვებაც, თუმცა ეს ჩემ ირგვლივ სხვადასხვა პროფესიის მქონე ბევრ ადამიანს უყვარს, მათ შორის რეჟისორ, მხატვარ, დისტრიბუტორ თუ ექიმ მეგობრებსაც. სამყარო ყველასთვის ერთნაირია, უბრალოდ, უმეტესად იმ კუთხით გვენახება ხოლმე, საიდანაც ვუყურებთ.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველასგან განსხვავებული ხართ?

- არა, ვფიქრობ, ძალიან ჩვეულებრივი და ხშირად მოსაწყენიც ვარ. შეიძლება გვერდიდან ვინმეს სხვანაირად ვეჩვენებოდე, თუმცა, მათ ნაცვლად მე ვერ გიპასუხებთ, მით უმეტეს, როცა ისედაც ვცდილობ, გვერდიდან არ შევხედო საკუთარ თავს და კიდევ უფრო არ გავუცხოვდე.

- რას ნიშნავს ტიპური ბათუმელობა თქვენთვის და ასეთი ადამიანი რით უნდა გამოირჩეოდეს სხვებისგან?

- ტიპური ბათუმელი დადის საპროტესტო აქციებზე, ესწრება უკლებლივ ყველა გამოფენას, კონცერტს, პანაშვიდს, „ბათუმობას“, ემოციურად ამბობს კარგ და ცუდ სადღეგრძელოებს, არის აქტიური და ერთ დღესაც იყიდება.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ტიპური ბათუმელი ხართ?

- არა, თუმცა ყველაფერი მაინც ბოლოს გამოჩნდება.

- ვინ მიგაჩნიათ ტიპურ ბათუმელებად და ბევრი დარჩა თუ არა ასეთი ბათუმელი?

- მე მათ ატიპურს დავარქმევდი - ისინი იშვიათად გადიან ჩვეული წრიდან, უმეტესად, სოციალურად არააქტიურები არიან, პროტესტს ერთი გულწრფელი შეგინებით გამოხატავენ და, როგორც წესი, არიან თვითკმარები. სახელების ჩამოთვლა არაფერს მოგვცემდა - საკმაოდ ბევრია ეგეთი. ერთი ეგაა, მიუხედავად მათი ამგვარი სოციალური ქცევის ჩემთვის კარგად გასაგები მოტივებისა, ისინი დათვურ სამსახურს უწევენ ქალაქსა და საკუთარ თავს.

- თქვენი აზრით, რითი ჰგავხართ თქვენი ოჯახის ჟურნალისტური დინასტიის წარმომადგენლებს - ბაბუასა და მამას და რითი არ ჰგავხართ?

- სამწუხაროდ, ბაბუაჩემი, ბავშვობიდან შემორჩენილი რამდენიმე ემოციური შთაბეჭდილების გარდა, არ მახსოვს - პატარა ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მსმენია მასზე და ბევრი აუდიო-ფოტო-ვიდეო და ტექსტური მასალაც დატოვა, განსაკუთრებით ჩვენს ოჯახზე, ის ჩემთვის მაინც მითოსია. რაც შეეხება მამას. მე, როგორც საშუალოსტატისტიკური ადამიანი, პატარაობაში ვბაძავდი, სიყმაწვილეში - ვებრძოდი და ასაკში თანდათან ვღებულობ. ის კია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ხშირად ვამბობ მისთვის დამახასიათებელ ხუმრობებს, სიტყვებს, ფრაზებს. ალბათ, ყველაზე მეტად მაგ დროს ვემსგავსები. და, ჰო - შავგვრემანი ვართ ორივე.

- ყოფილა თუ არა თქვენ შორის თაობათა ბრძოლის მსგავსი? რაში ეწინააღმდეგებოდით ყველაზე მეტად მამას?

- რა თქმა უნდა, ყოფილა და, ალბათ, ყველგან და ყველაფერში ვეწინააღმდეგებოდი. სიყმაწვილის მთელი ხიბლიც ხომ უკომპრომისობაშია?! 60-იან წლებში პარიზში აჯანყებული ფრანგი სტუდენტების დევიზის არ იყოს: „იყავი რეალისტი, მოითხოვე შეუძლებელი!“, და მეც ვითხოვდი.

- რა არის თქვენთვის სოფელი, სადაც თქვენი სამყარო მოიწყვეთ?

- თავიდან სოფელი უფრო გამოწვევა იყო, საშუალება - გამომეგონებინა ჩემი პატარა სამყარო. შემდეგ უფრო გაქცევას დაემსგავსა. შემდეგ მივხვდი, რომ გაქცევა ადგილი კი არა, გადაწყვეტილებაა და ისიც გავიაზრე, რომ გაქცევა მთლად ღირსეული საქციელი არ არის. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მაინც რაღაც პროცესია, რაღაც წარმოდგენა - მისი დეკორაციებით, პავილიონებით, რეალური რეკვიზიტებით, რომელიც უკანასკნელი ლურსმნის მიჭედების შემდეგ ნელ-ნელა მთავრდება. ჩემი სოფლის სახლი ატმოსფერო ან ამბავია, რომლის მოყოლაც ქვიშა-ცემენტით დაიწყო და ბოლოს ოთახებში, კიბესა თუ ეზოში წარმოდგენებით დასრულდა. მეწერა კიდეც სადღაც, რომ პოსტებად ვაშენებდი სახლს. ახლა ის თუნდაც საინტერესო, მაგრამ უამრავჯერ მოყოლილი ამბავია და, პირად კომფორტს თუ გამოვრიცხავთ, უკვე გამოგონებული სოფელი, უფრო წარსულია, ვიდრე მომავალი.

- განმარტოება გიყვართ?

- განმარტოება და, პერიოდულად, მისი უფრო მაღალი ხარისხი - მარტოობა ჩემთვის ძალიან ბუნებრივი მდგომარეობაა, რთულიც, მარტივიც, მაგრამ - აუცილებელი, აუცილებლობა კი ყოველთვის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე გადის.

- სოფელში მეგობრებთან ერთად ერთგვარ სალონურ შეკრებებს თუ მართავთ?

- არა. მეტიც, ეს ეგრეთ წოდებული სალონური შეკრებები „მძაგს“. რაც შეეხება ამა თუ იმ თემაზე, ფილმზე ან წიგნზე საუბარს, ეგ ნებისმიერი შეხვედრის დროს შეიძლება წამოიჭრას - მთავარი ხომ ადამიანებია, დანარჩენი კი, ბოდიში და, სნობიზმით გაჯერებული ფორმალიზმი მგონია.

- რა გეგმები გაქვთ?

- აი, ამ კითხვებს მოვრჩები თუ არა, წყლის ავზი უნდა დავამონტაჟო ბოსტნის ქოხთან.

> *„თავიდან სოფელი უფრო გამოწვევა იყო, საშუალება - გამომეგონებინა ჩემი პატარა სამყარო. შემდეგ უფრო გაქცევას დაემსგავსა. შემდეგ მივხვდი, რომ გაქცევა ადგილი კი არა, გადაწყვეტილებაა და ისიც გავიაზრე, რომ გაქცევა მთლად ღირსეული საქციელი არ არის. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მაინც რაღაც პროცესია, რაღაც წარმოდგენა - მისი დეკორაციებით, პავილიონებით, რეალური რეკვიზიტებით, რომელიც უკანასკნელი ლურსმნის მიჭედების შემდეგ ნელ-ნელა მთავრდება*

როინ შავაძის მკვლელობის საქმემ სასამართლოში გადაინაცვლა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

წინა ხელისუფლების დროს მოკლულ სამხედრო სერჟანტ როინ შავაძის საქმეზე გუშინ პირველი პროცესი გაიმართა. 15 წლის შემდეგ პირველად, ოთხმა ბრალდებულმა მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები აღიარა

სამმა სპეცრაზმელმა - დავით ზაქარაძემ, თემურ მგელაძემ და ზვიად ნურიძემ შავაძის მკვლელობა დაადასტურა, ყოფილმა გამომძიებელმა სულიკო ვარშანიძემ კი საქმის მასალების ფალსიფიცირებაში თავი დამნაშავედ ცნო.

თავდაცვის სამინისტროს სერჟანტი და აგვისტოს ომის მონაწილე როინ შავაძე ომიდან რამდენიმე დღეში ქობულეთის გზაზე მოკლეს. მას 40-მდე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. სერჟანტს იმდროინდელი ხელისუფლება ჯაშუშობასა და ნარკოდანაშაულში სდებდა ბრალს. საქმეში იმდროინდელი ყოფილი მაღალჩინოსნებიც ფიგურირებენ. თავის დროზე რეზონანსულ საქმეზე სარჩელი სტრასბურგშიც გაიგზავნა - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა.

როგორც აღვნიშნეთ, ოთხმა ბრალდებულმა გუშინ ბრალის აღიარების შესახებ პოზიცია სასამართლოში დააფიქსირა, სადაც შავაძის ლიკვიდაციის საქმეზე 10 ბრალდებულის წინასასამართლო სხდომა გაიმართა.

მანამდე აღიარებითი ჩვენება ოთხმა ბრალდებულმა მისცა გამოძიებას. როგორც პროკურორმა გიორგი მუჯირმა განაცხადა, მათ აღიარებით ჩვენებებში შავაძის მკვლელობის ბრძანების გამცემად აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი, ამჟამად ძებნილი თეიმურაზ პატარაიძე დაასახელეს. პროკურორის განცხადებით, საქმის მასალების მიხედვით, შავაძის პიროვნების შესწავლის დავალება კუდ-ის ყოფილმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა. საქმეში ფიგურირებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც შავაძის საქმეზე უკვე დაიკითხა, თუმცა პროკურორის თქმით, ბრალდებულების დაკავების შემდეგ მან ქვეყანა დატოვა.

4 ბრალდებულის აღიარების შემდეგ, პროკურორებმა 3 ადვოკატის - ბექა ბასილაიას, შოთა თუთბერიძის და შოთა კახიძის შავაძის საქმისგან ჩამოშორების შუამდგომლობა დააყენეს. ბრალდების პოზიციით, კანონმდებლობით შეუთავსებელი იყო აღიარების შემდეგ საქმეში აღნიშნული სამი ადვოკატის მონაწილეობა. საქმისგან ჩამოშორებული ადვოკატები ეწინააღმდეგებოდნენ პროკურატურის პოზიციას და ითხოვდნენ იმ ბრალდებულთა ინტერესების დამცველებად დარჩენას, რომლებიც დანაშაულს არ აღიარებდნენ, თუმცა მოსამართლემ ისინი საქმეს ჩამოაშორა.

ბექა ბასილაიას განცხადებით, პროკურატურა ისრებს ვანო მერაბიშვილისკენ მიმართავს და მათი დარჩენა საქმეში საგამოძიებო ორგანოსთვის დისკომფორტი იყო, რადგან საქმის ყველა ლაფსუსი იცოდნენ.

- თითოეულმა მათგანმა, მათ შორის ვინც პოზიცია შეიცვალა, განაცხადა, რომ მართალია, ბექა ბასილაია, შოთა თუთბერიძე და შოთა კახიძე ჩვენს ინტერესებს აღარ იცავენ, მაგრამ ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი, რომ მათ დაიცვან ალი ბალაძის, მირზა კონცელიძისა და გიორგი არაბულის ინტერესები. საქმეში მათი მონაწილეობა ჩვენს ინტერესებს (მიუხედავად ჩვენი პოზიციების ცვლილებისა) არ შელახავს. ამის თქმის შემდეგ სასამართლოს არანაირი საფუძველი ჩვენი აცილების არ გააჩნდა, - განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.

ბრალდებულები, რომლებმაც დანაშაული აღიარეს, აქამდე მიცემულ ჩვენებებს ცრუს უწოდებენ. როგორც ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სიმართლეს 15 წელი ვერ ამბობდა, რადგან ყოფილი მაღალჩინოსნების ეშინოდა. ჩვენებაში სპეცრაზმელი ყვება, როგორ და ვისი დავალებით ესროლა თავდაცვის სამინისტროს სერჟანტს. მანვე ისიც მიუთითა, რომ შავაძე შეიარაღებული არ ყოფილა და სპეცრაზმელებისთვის ცეცხლი არ გაუხსნია. არიან ისეთებიც, რომლებიც დანაშაულს არ აღიარებენ.

ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის ალი ბალაძის ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულობას სასამართლოში დაადასტურებს.

- რამდენიმე მოწმე ბალაძეს ახსენებს, თუმცა ჩვენებების შინაარსი არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, ჩავთვალოთ, რომ ბალაძე იყო ჩართული რაიმე სახის დანაშაულში, - ამბობს ალი ბალაძის ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე.

- აქ იყო შიში როგორც მაშინდელი ხელისუფლების, ისე - პატარიძის მიმართ. ბევრმა გარემოებამ განაპირობა, რომ აქამდე არ მოხდა აღნიშნული ჩვენების მიცემა ისე, როგორც საჭირო იყო. შავაძე დაკავებული იყო და ისე წამოიყვანეს, ხელბორკილებიან ადამიანს როგორ უნდა ჰქონოდა იარაღი? - ამბობს თეიმურაზ მგელაძის ადვოკატი გიორგი ფოფხაძე.

იხ. მე-7 გვ.

„შუახევობა“ შედგა, „საპატიო შუახეველები“ აირჩიეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ოთხი ათეული წელია გასული იმ დროიდან, რაც შუახევში სახალხო დღესასწაული „შუახევობა“ წამოიწყეს. ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელების მითითებით, იგი „სიმღერის დღესასწაულად“ მონათლეს. ბევრგან ანალოგიურად წამოწყებული სახალხო ზეიმები უკუაგდეს და იგი კომუნისტურ იდეოლოგიას, მაშინდელ რეჟიმს მიაწერეს

სიმღერის, ცეკვის, ხელოვნების, კულტურის და, რაც მთავარია, ეროვნული ადათ-წესების დამცველმა, მოყვარულმა და თაყვანისმცემელმა შუახეველებმა წამოწყება დროთა ლაბირინთებში გამოატარეს, მხოლოდ ცოტაოდენი სახეცვლილებით, და „შუახევობის“ სახალხო დღესასწაულად დაამკვიდრეს.

წუთისოფელს თავისი კანონები აქვს. მრავალი შუახეველი, დღესასწაულის წამოწყების წლებში, სცენაზე ხელოვნების ნიმუშებს რომ აჩვენებდა, უკვე ზეციურ საქართველოშია. სწორედ მათ გახსენებას ისახავდა მიზნად ფოტოგამოფენა, რომელიც წლევანდელ „შუახევობაზე“ შუახევის კულტურის მესვეურებმა მოიტანეს.

შუახევის რაიონის მაშინდელ პირველ პირს, „საპატიო შუახეველის“, „საპატიო ჭვანელის“ წოდებების მფლობელ მურმან ჭაღალიძეს გვერდით ედგნენ ვლადიმერ მამულაძე, შოთა მაკარაძე, ალექსანდრე ფუტკარაძე, მიხეილ ზოიძე, ამირან ბერიძე, ტარიელ ნიჟარაძე, ნუგზარ ფუტკარაძე, ალექსანდრე ჯიბლაძე, აბესალომ დათეშიძე, მიხეილ ზოსიძე. აისის ვარსკვლავებივით შეთხელდა ზეიმის წამომწყებთა რიგებიც. მათგან წლევანდელ „შუახევობას“ მხოლოდ შოთა მაკარაძე და ალექსანდრე ჯიბლაძე დაესწრნენ.

- ზეიმი რომ წამოვიწყეთ, შუახევის რაიონის ხელმძღვანელ სტრუქტურებში ვსაქმიანობდი. 1989 წლის ზამთარში განვითარებული სტიქიური პროცესების გამო მშობლიური ოლადაური და სათაყვანებელი შუახევი დავტოვე. საცხოვრებლად თბილისის შემოგარენში, კერძოდ, კრწანისში გადავედი. იმ დღიდან მოყოლებული, სამსახურიც იქვე გამოვნახე და 70 წელს გადაცილებული ისევ სახელისუფლებო რგოლებში ვსაქმიანობ. შუახევში მიმდინარე პროცესებს გულდაგულ ვაკვირდები, თუმცა ჩვენ მიერ წამოწყებულ ზეიმს ხშირად ვერ ვესწრებოდი. წელს საგულდაგულოდ მომიწვიეს. ალექსანდრე ჯიბლაძესა და სხვა თანამედროვეებთან ერთად ყველაფერს თვალი შევავლე. სახეშეცვლილი ვნახე ის ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც თითქმის 20 წელი ვმუშავე. თაობების ოცნება იყო მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროს ათვისება და იქ სპორტული კომპლექსის მოწყობა. განა მარტო მე? ზეიმის ყველა მონაწილე „თეთრი შურით“ ვაკვირდებოდით თანამედროვე სტანდარტების შესაფერის სპორტულ არენას, დაბა შუახევის კეთილმოწყობილ ცენტრს, სარესტავრაციო ხარაჩოებჩამოხსნილ კულტურის სახლის შენობას და მის ირგვლივ გაკეთებულ ინფრასტრუქტურას. მთავარზე უმთავრესი მაინც დაბის ცენტრში წამომართული ეკლესიის შენობაა, მაუწყებელი იმისა, რომ მშობლიური შუახევი და სათაყვანებელი შუახეველები ძირძველ მრწამსს უბრუნდებიან. მეგობრებთან ერთად ზეიმის დაწყებამდე ტაძარში შევიარეთ, მამა ანდრიასთან (ჩხუბაძე) ერთად სანთლები დავანთეთ, მოვილოცეთ, - გვითხრა შოთა მაკარაძემ.

გავუსწრებთ მოვლენებს და ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაუწყებთ, რომ წლევანდელ „შუახევობაზე“ შოთა მაკარაძე მათ რიგებში იყო, ვინც ცხოვრებით, შრომით, საზოგადოებრივი პოზიციით, პირადი საქმიანობით დიდი ამაგი დასდო შუახევს და „საპატიო შუახეველის“ წოდება დაიმსახურა. მას „საპატიო შუახეველის“ დიპლომი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა.

შემოდგომის ხვავ-ბარაქა, ადგილობრივთა ხელოვნება, კულინარიის მრავალსახეობა მოიტანეს ზეიმზე შუახევის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წარმომადგენლებმა: მარინა დავითაძემ, ელენე ფუტკარაძემ, კვიახიძეებელმა თათული ზოიძემ, ფატი დიასამიძემ, ჭვანელმა როლანდ ქათამაძემ, შუახევის ქალთა ოთახის წევრებმა დარეჯან კილაძემ, მარინა ტარიელაძემ. „მარეთულა“ უწოდა თავის ნახელავ ყურძნის ნაჟურს პაპოშვილებელმა რევაზ ფუტკარაძემ.

ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელობამ, სკოლამდელი დაწესებულებების მენეჯერებმა და აღმზრდელებმა აღსაზრდელების თანხლებით წარმოადგინეს იმპროვიზაცია „შემოდგომა მთაში“. მათ ყურძნის დაწურვისა და ჩურჩხელების თათარაში ამოვლების პროცედურაც აჩვენეს.

ა(ა)იპ „შუახევის სპორტული ცენტრის“ დირექტორი რამინ ჯოიძე, ცენტრის მწვრთნელები და სპეციალისტები სპორტული თამაშობების წარმოდგენით იყვნენ დაკავებული. წლევანდელ „შუახევობას“ მაგიდის ჩოგბურთში, მკლავჭიდში, ნარდსა და შაშში გამარჯვებულები ჰყავდა. სპორტულ პაექრობებში 150-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ჩაერთო.

ზეიმის წამყვანებმა, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტმა მარიამ დავითაძემ სახელდახელო სცენიდან „შუახევობა“ გახსნილად გამოაცხადეს.

ზეიმის მრავალი მონაწილე იხსენებდა პირველ ზეიმს, როცა ადმინისტრაციულ შენობასთან მისასვლელ კიბეებზე შუახევის საშუალო სკოლასთან არსებული ბავშვთა ანსამბლის წევრებმა, ქორეოგრაფ სიმონ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, „განდაგანა“ შეასრულეს. მაშინდელი მონაწილენი - რამაზ დავითაძე, ჯემალ, იაკობ, იოსებ ზოსიძეები, მაია დუმბაძე, იამზე, ივერი, ირაკლი აბაშიძეები დღეს თმაშევერცხლილები არიან. რამაზ დავითაძე კი ცნობილ ქორეოგრაფ გურამ ბოლქვაძეს ასისტენტობას უწევს შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ზე-კართან“ მუშაობაში. სწორედ რომ „ზეკარელებმა“, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერის ანსამბლ „შუახევის“ წევრების თანხლებით, სცენაზე პირველად გამოიტანეს „განდაგანა“ სიმღერასთან ერთად. სიახლეებით წარსდგნენ მოზეიმეთა წინაშე შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ წევრები და რეგიონის პირველი პირის თორნიკე რიჟვაძის საჯარო შექება და მადლობა დაიმსახურეს.

პოზიციებს იმაგრებენ სატელევიზიო შოუ „ნიჭიერის“ ფინალისტები, ავთენტურ ანსამბლ „ჭვანის“ წევრები ტარიელ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, მათ და ფოლკლორულ ანსამბლ „მარეთის“ წევრებმა, ლოტბარ ავთანდილ დარჩიძის ხელმძღვანელობით, მოზეიმეებს ახალი რეპერტუარი შესთავაზეს. საინტერესო და მიმზიდველი იყო შუახევის სალოტბარო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეების, კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ანსამბლ „ნაის“, ბენდ „117“-ის მიერ შესრულებული ფოლკლორული და მუსიკალური ნომრები. წამყვანებმა სცენაზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძეს უხმეს. მან დამსწრეთ „შუახევობა“ მიულოცა, ყველას საჯაროდ მადლობა გადაუხადა ზეიმში მონაწილეობისთვის, ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც შუახევში ბოლო წლებში სოფლების კეთილმოწყობის, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სოციალური ყოფისა და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისთვის კეთდება. აღნიშნა, რომ უმჯობესდება წყალმომარაგება, ტურიზმი ვითარდება. მერი არსებულ გამოწვევებსაც შეეხო და მიანიშნა, რომ ამ ეტაპზე დაუძლეველი და

გადაულახავი ბარიერები არ აქვთ.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა სიტყვა გადასცა ბატონ თორნიკე რიჟვაძეს. „ძვირფასო შუახეველებო და შუახევის სტუმრებო, მსურს, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღესასწაული - „შუახევობა-2023“, მშვიდობა, კეთილდღეობა გისურვოთ. საამაყოა შუახევში მიღწეული შედეგები, რომლებიც ყოველწლიურად ახალ მასშტაბებს იძენს. ჩვენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, თვითმმართველობის ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად ვზრუნავთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის. მომავალი წარმატებების მიღწევისა და ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისთვის. ჩვენი მიზანია, აქ მცხოვრებ ადამიანებს ყველა პირობა ჰქონდეთ, რომ იცხოვრონ, იშრომონ ღირსეულად. მადლობას ვუხდი შუახევის ყველა მკვიდრს, ვისაც პირადი წვლილი შეაქვს იმ აღმშენებლობით პროცესებში, რომლებიც ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. ვსარგებლობ შემთხვევით და „საპატიო შუახეველის“ წოდებას ვულოცავ ნომინანტებს. დარწმუნებული ვარ, ისინი შეძლებენ ღირსეულად ატარონ ეს წოდება. გამორჩეულად მინდა ვთქვა უხუცესთა ფოლკლორულ ანსამბლ „ფესვების“ მიერ წარმოდგენილ რეპერტუარზე. ისინი, მართლაც, სულსა და გულს დებენ ფოლკლორული ნიმუშების გაცოცხლებასა და სცენაზე გამოტანისთვის. ვნახეთ, ასევე, ახალი თაობის მიერ შესრულებული ფოლკლორული და მუსიკალური ნიმუშები, რომლებიც ნიჭიერებით გამოირჩევა. „შუახევობა“ ერთიანობის, პატივისცემისა და, რა თქმა უნდა, ძველი და ახალი თაობების გაერთიანების ზეიმია. კიდევ ერთხელ მსურს, მოგილოცოთ დღესასწაული და წინსვლა გისურვოთ პირად ცხოვრებასა და ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.

„შუახევობა-2023“-ის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ამავე ორგანოში შუახეველთა რჩეული ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე. მისალმებასთან ერთად მათ და რეგიონის პირველმა პირმა მუნიციპალიტეტის საჯარო სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, ბიზნესის სფეროში მიღწეული წარმატებისთვის, მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ძალისმიერი სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიღწეული სარეკორდო მაჩვენებლებისთვის, განათლების, კულტურის დარგებისა და პოეტური, საზოგადოებრივი საქმიანობისთვის „საპატიო შუახეველის“ დიპლომები გადასცეს გულიკო ანთაძეს, შოთა მაკარაძეს.

შუახევის მუნიციპალიტეტში ტურისტული ობიექტების შექმნასა და ტურიზმის განვითარებაში შეტანილი საპატიო წვლილისთვის, აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარე თინათინ ზოიძეს „საპატიო შუახეველის“ წოდება მიანიჭეს, მაგრამ იგი უცხოეთში იმყოფებოდა. მას დიპლომი შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა. „საპატიო შუახეველის“ დიპლომი ერგო ასევე ბიზმესმენ ავთანდილ ჯუმუშაძეს. ბატონმა დავით გაბაიძემ, როცა „საპატიო შუახეველის“ დიპლომი გადასცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ჯიბლაძეს, ამ უკანასკნელმა მისასალმებელი სიტყვა ითხოვა.

„ცხოვრებაში მუქთად არაფერი მიმიღია. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ყველაფერი შეთანხმებისა და საბოლოო ვერდიქტის გარეშე არ ხდება. მადლობა იმ თაობას, რომელმაც წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, თავისი წილი გაიღო შუახევის აღმშენებლობაში. ისინი დადებითად იყვნენ ჩართულნი იმ პროცესებში, რაც ამ რაიონისთვის დამახასიათებელი იყო. მადლობა იმ სამეგობროს, რომელიც როგორც რაიონის ყოფილ ხელმძღვანელს გვერდით მედგა, მადლობა თითოეულ შუახეველს, რომლებიც ეროვნულ ადათ-წესებს პატივს სცემენ. ჯილდოს მიღება მორალური და ზნეობრივი ნორმაც შეიძლება იყოს. თუ არ გეკუთვნის, მასზე უარი უნდა თქვა. თავის დროზე სულმნათმა ივანე ჯავახიშვილმა „შრომის წითელი დროშის ორდენზე“ უარი განაცხადა, მე კი საჯაროდ ვაცხადებ: ეს წოდება ფრიად საპატიო, პატივდებული და საპასუხისმგებლოა ჩემი შთამომავლობისთვის. ეს ერთი ისტორიული გაკვეთილია მათთვის, როგორები უნდა იყვნენ, როგორ უნდა ემსახურონ სამშობლოს და სათაყვანებელ ქართველ ერს. უღრმესი მადლობა ამ აღიარებისთვის“, - თქვა მან.

იხ. მე-7 გვ.

ჰელოუინის მოახლოებასთან ერთად საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რამდენიმე დღეც და... მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ერთ-ერთი პოპულარული დღესასწაული - ჰელოუინი აღინიშნება, დღე, რომელიც არაერთგვაროვან შეხედულებებს იწვევს ადამიანებში

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია გრძნეულებასთან, ჯადოქრობასთან, დემონებთან, მათ შორის მკვდარ სულებთან, ყოვლად მიუღებელია და ეწინააღმდეგება ბიბლიურ სწავლებებს. ნაწილი კი ფიქრობს, რომ ჰელოუინი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები უბრალო გართობაა და მასში არ უნდა ვეძიოთ წარმართული საწყისები. 31 ოქტომბრის, ანუ აღნიშნული დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა:

„ღონისძიება ჰელოუინი რელიგიურ საფუძვლებზეა აღმოცენებული და წინააღმდეგობაში მოდის მართლმადიდებლურ საეკლესიო ცნობიერებასთან. ჰელოუინის შესახებ მრავალი მითქმა-მოთქმა არსებობს. აშკარაა, რომ მართლმადიდებლებისთვის ეს ღონისძიება (ძნელია, დღევანდელ ჰელოუინს დღესასწაული უწოდო) მიუღებელია. ჰელოუინის ისტორია კარგი ნიმუშია იმისათვის, თუ როგორ შეიძლება კარგი და ღვთივსათნო ტრადიცია შეერწყას თვისობრივად უცხოს და გაიხრწნას“, - ნათქვამია განცხადებაში.

იქვე დეტალურად არის აღწერილი თუ საიდან იღებს ჰელოუინი სათავეს, რას უკავშირდება მისი სახელი და გარეგნული სახე, დასკვნის სახით კი კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ ეკლესია გმობს ისეთი დღეების აღნიშვნას, როგორიცაა ჰელოუინი და მისი მსგავსი ღონისძიებები.

„მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე შოუბიზნესის ინდუსტრია ცდილობს ჰელოუინის გამიჯვნას რელიგიურ-რიტუალური მდგენისგან, ეს მოვლენა იყო და რჩება ეკლესიის წიაღში დაბადებულ, მაგრამ წარმართობის მიერ შერყვნილ ღონისძიებად, რომლის დროსაც უფლისა და მისი სათნომყოფელების ხატებისა და წმინდა ნაწილების ნაცვლად მსვლელობა და დროსტარება ეძღვნება სასუფევლის კარიკატურას - მასკულტურის პერსონაჟებსა და დაცემული ძალების პერსონიფიკაციებს“, - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

როგორ აღიქვამენ ჰელოუინის დღესასწაულს ბათუმში? - აღნიშნულთან დაკავშირებით ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარე, რომლის საფუძველზეც, შეიძლება ითქვას, აზრი ორად გაიყო.

სოფო ბარამიძე:

- მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ვარ და, მეტნაკლებად, მრევლიც, მე არ აღვიქვამ ჰელოუინს როგორც ეშმაკისეულ დღესასწაულს, არ ვანიჭებ ასეთ მნიშვნელოვან დატვირთვას. სკოლა, სადაც ჩემი შვილები სწავლობენ, ყოველ წელს აღნიშნავს ჰელოუინს, ერთობიან ბავშვები, რითაც სასწავლო პროცესში მეტი პოზიტივი შედის. საკუთარი ხელით ვყიდულობ ან ვქირაობ ხოლმე აღნიშნული დღესასწაულისთვის ტანსაცმელს ბავშვებისთვის, სიამოვნებით ვერთვები პროცესში. იმდენი ცუდი რამ ხდება ქვეყანაში და, ზოგადად, მსოფლიოში, სოციალური ქსელებიდან იმდენ სიბინძურეს ისმენენ, იმდენი მაცდური თემაა ირგვლივ, ვფიქრობ, ჰელოუინი ყველაზე ნაკლებ აგრესიას უნდა იწვევდეს. მოკლედ რომ გითხრათ, მე არ ვარ ჰელოუინის წინააღმდეგი.

გელა ართმელაძე:

- ვერ ვიტყვი, რომ რადიკალური შეხედულება მაქვს, მაგრამ არ მიგესალმები ჰელოუინის აღნიშვნას მიუხედავად იმისა, რომ მახსოვს, მოზარდობისას, მეგობარი გოგო-ბიჭები თეფშზე რაღაცებს ვაწერდით ხოლმე და ბებია-ბაბუების სულებს ვიძახებდით (ვითომ). დღეს მეცინება ამ ყველაფერზე და მგონია, დრო არ უნდა დაკარგოს არავინ მსგავს სისულელეებზე, მით უფრო მაშინ, როცა ბიბლია გმობს ჯადოქრობას, შემლოცველობას და გვეუბნება: „უნაკლო იყავ უფალთან, შენს ღმერთთან“. იმას, რასაც ეკლესია გმობს, მე არ მივესალმები.

ლანა ტაკიძე:

- 31 ოქტომბერს ვიკრიბებით მეგობრები და აღვნიშნავთ ჰელოუინს. მართალია, არ მოსწონთ ეს ჩემს მშობლებს, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ არაფერს ცუდს არ ვაკეთებთ და ეს არის უბრალო გართობა, მეტი არაფერი. მეცინება, ამხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებენ ჰელოუინს და ლამის სულებთან შეკრულებს გვეძახიან. ჩვენ არ ვკლავთ და არ ვატყავებთ ცხოველებს, არც სულებს ვიძახებთ, უბრალოდ, ვიცვამთ შესაფერის ფორმებს და ამით, შეიძლება ითქვას, ჩვენგან ვდევნით დემონებს. ჰელოუინზე განცხადებას ჯობია, საპატრიარქომ ის თქვას, ნარკოტიკი რომ ყველასთვის ხელმისაწვდომია ქვეყანაში და თაობები იღუპება. გამოვიდეს და თქვას, რომ ვიღაც ზემოდან „კრიშავს“ ნარკოტიკების რეალიზატორებს, რა დროს ჰელოუინზე განცხადებებია?!

თეონა ქათამაძე:

- არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ამხელა განხილვას უნდა იწვევდეს საზოგადოებაში. არჩევანის თავისუფლება უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის. ვისაც უნდა - აღნიშნავს, ვისაც არა - არ აღნიშნავს, ამით ადამიანები არ უნდა დავყოთ მორწმუნეებად და არამორწმუნეებად. მიუხედავად იმისა, რომ ჰელოუინს შეიძლება ჰქონდეს კავშირი წარმართობასთან, დღეს ის მხოლოდ გართობაა. არ საჭიროებს ეს თემა ასეთ სიღრმეებს. დაე, აღნიშნონ, გაერთონ, მე მომწონს ჰელოუინის სადღესასწაულო მზადება და ყველა ნივთი თუ წეს-ჩვეულება, რომელიც აღნიშნულ დღესასწაულს უკავშირდება.

გარევაჭრობა დასჯადი გახდება

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

შესაბამის ცვლილებას ქალაქ ბათუმის საკრებულომ 24 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე დაუჭირა მხარი, რომლის თანახმადაც, უნებართვო გარევაჭრობის კონტროლს, „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციასთან“ ერთად, შესაბამის ტერიტორიებზე „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ და „ბათუმის ბულვარი“ განახორციელებენ

კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად, მუნიციპალურ ინსპექციას უფლება მიეცა, რეაგირება მოახდინოს გარევაჭრობაზე, რომელიც ხორციელდება სატრანსპორტო, მისაბმელი ან სხვა ნებისმიერი მოძრავი საშუალების გამოყენებით. გარემოვაჭრეები - 500 ლარით, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი 1000 ლარით დაჯარიმდებიან.

- კამონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, უნებართვო გარევაჭრობის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილება მიენიჭა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ მერიის სტრუქტურულ ერთეულს ან მის მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. ამასთან დაკავშირებით, მომზადდა განკარგულების პროექტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ განიხილეს ბათუმის საკრებულოს სხდომაზე და დაამტკიცეს. მიღებული განკარგულების თანახმად, უნებართვო გარევაჭრობაზე რეაგირების უფლებამოსილება მიენიჭა „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას“, ასევე, „ბათუმის ბოტანიკურ ბაღს“ და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ბათუმის ბულვარს“ მათთვის გადაცემულ ტერიტორიებზე. ასევე, ამ ცვლილებით დაზუსტდა გარევაჭრობასთან დაკავშირებული რიგი გარემოებები, კერძოდ, დასჯადია ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, მისი მისაბმელიდან ან სხვა მოძრავი საშუალებიდან, განხორციელებული გარევაჭრობა, რომელიც 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, ხოლო უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ჯარიმა 1000 ლარით განისაზღვრა. ცვლილება ძალაში 25 ოქტომბრიდან შევიდა და კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოები, მათ შორის, მუნიციპალური ინსპექცია განახორციელებს შესაბამის რეაგირებას, - განაცხადა ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის იურიდიული განყოფილების უფროსმა ლაშა მამულაძემ.

როინ შავაძის მკვლელობის საქმემ სასამართლოში გადაინაცვლა

მე-5 გვერდიდან

სამი ადვოკატის საქმისგან ჩამოშორების შემდეგ ორი ბრალდებული დამცველის გარეშე დარჩა. შესაბამისად, საქმის განხილვა ველარ გაგრძელდებოდა. მოსამართლემ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიება გადასინჯა. ადვოკატების შუამდგომლობის მიუხედავად, რომ ბრალდებულებს პატიმრობა გირაოთი შეცვლოდათ, მოსამართლემ წინასწარი პატიმრობა ძალაში დატოვა. პროცესი 8 ნოემბრისთვის გადაიდო, სადაც წინასასამართლო სხდომა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხით გაგრძელდება.

განსასჯელები ბრალდებულები არიან როინ შავაძის უკანონოდ დაკავების, განზრახ მკვლელობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით. 8 დაკავებულია, ერთი სპეცრაზმელი და თეიმურაზ პატარიძე კი იძებნებიან, მათ 17 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2020 წლის 19 ნოემბერს შავაძის საქმეზე სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა. სასამართლოს შეფასებით, იმუამინდელი მთავრობის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ როინ შავაძის სიკვდილი დაკავებისას მისი გაქცევის აღსაკვეთად საჭირო ძალის გამოყენების შედეგი იყო, არ შეესაბამებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

აგვისტოს ომის მონაწილე როინ შავაძეს მაშინდელი ხელისუფლება აგვისტოს ომის პერიოდში რუსეთისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ნარკოდანაშაულში ადანაშაულებდა, თუმცა ახლა როგორც დაკავებული ყოფილი გამომძიებელი ამბობს, მაშინ მტკიცებულებები გააყალბა და, რეალურად, შავაძეს ნარკოტიკები ჩაუდეს.

„შუახევობა“ შედგა, „საპატიო შუახეველები“ აირჩიეს

მე-6 გვერდიდან

„საპატიო შუახეველის“ დიპლომი ერგოთ გულო ფუტკარაძე-სეჩენიანს, რევაზ დავითაძეს და ედიშერ ფუტკარაძეს. როგორც როსტომ ლორთქიფანიძემ განაცხადა, სამართალმცოდნე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ფუტკარაძე ამჟამად იაპონიაშია მივლინებული კიდევ ერთი აღიარების მოსაპოვებლად და მას ეს საპატიო ჯილდო მომავალში საზეიმო ვითარებაში გადაეცემა.

„შუახევობა“ ჩვენი ქვეყნის წამყვანი მომღერლის ვერიკო ტურაშვილის, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ და „ნიკოლშოუს“ გამოსვლით დასრულდა. კომენტარი ვთხოვეთ **ვერიკო ტურაშვილს:**

„აჭარის მთიანეთში პირველად არ ვარ, მაგრამ არ მახსენდება, რამდენიმე წლის წინ ამ ულამაზეს კუთხეში რა მიზნით ვიყავი ჩამოსული. დღეს ნანახმა, აუდიტორიის მრავალფეროვნებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მადლობა ყველას ამ ლამაზი დღისთვის“.

„შუახევობა-2023“ ფოიერვერკებით დასრულდა.

გთავაზობთ მონაწილეთა შთაბეჭდილებებს.

დავით გაბაიძე: - მთას და მთიელებს ყველაფერი უხდებათ. ზეიმი და მასპინძლობაც შესაფერისი იციან. ტოლს არავის დაუდებენ აქაური ხელოვანები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები. ყველაფერი, ერთად შეკრებილი, ზეიმზე მოიტანეს. ბარაქა მთიელი ქალის მარჯვენას, მათ შემართებას.

რამაზ ჯინჭარაძე, ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე: - საინტერესო და შინაარსიანი, სანახაობითი ღონისძიებებით დატვირთული დღის მონაწილენი გავხდით. „საპატიო შუახეველის“ წოდების ნომინანტებს სცენაზე რომ უხმეს, ის დღე გამახსენდა, როდესაც საპატიო წოდების დიპლომი მეც გადმომცეს. შუახევი ჩემი სიყვარულია, თითოეული შუახეველი კი ჩემი მოფერებისა და თანადგომის საფუძველია. მრავალ ასეთ ზეიმს დაგასწროთ უფალმა.

როლანდ ბერიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი: - მრავალი რამ გვაქვს საერთო და მიმზიდველი მეზობელი მუნიციპალიტეტების მკვიდრებს. შუახეველებმა ოქტომბრის მეორე ნახევარი საინტერესო დღესასწაულით დაგვამახსოვრეს. ჩვენც სამზადისში ვართ და სახალხო დღესასწაულს „შემოდგომა - ქედაში“ ნოემბრის პირველ ნახევარში ვიზეიმებთ. ყველას გეპატიჟებით.

თინათინ ზოიძე: - აღფრთოვანებული და მომავალი სიახლეების მოლოდინით ვტოვებ შუახევს და ყველას ვულოცავ ამ ღირსეულ დღეს. ჩვენი ვალია, პირადი წვლილი გავიღოთ იმ აღმშენებლობით საქმეებში, ტურისტული პოტენციალის ათვისებაში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/10/23, 18 ¹⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმის თოჯინების თეატრმა გრან პრი მოიპოვა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის სპექტაკლით „წერილი ჯერალდინას“ ყაზახეთში გამართულ ალმათის თოჯინების I საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გრან პრი მოიპოვა

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლის პრემიერა, რომლის ინსცენირების ავტორი და სცენოგრაფიც ელენე მაცხონაშვილია, თეატრში 2018 წელს შედგა და მას შემდეგ რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა. ეს სპექტაკლი თეატრმა 2023 წლის 30 ივლისს აღადგინა და მოქმედ რეპერტუარში დააბრუნა. სპექტაკლში „წერილი ჯერალდინას“ მსახიობები ქეთევან სამხარაძე, მარიკა ბულეიშვილი, ირინე ღლონტი და სოფიო ცინცაძე მონაწილეობენ.

2018 წელს სპექტაკლმა უკრაინაში - კიევის II საერთაშორისო თოჯინურ ფესტივალზე „pUp.pet Up“ გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო ანსამბლი“, იმავე წელს, თეატრალური პრემია „დურუჯის“ საიუბილეო მე-10 დაჯილდოებაზე, სპექტაკლისთვის „წერილი ჯერალდინას“ ელენე მაცხონაშვილს წლის საუკეთესო რეჟისორის პრიზი გადაეცა, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გაზეთ „აჭარას“ ყაზახეთიდან გაუზიარა შთაბეჭდილებები და აღნიშნა, რომ ეს გამარჯვება არა მარტო მათი

თეატრის, არამედ აჭარის რეგიონისა და ბათუმის გამარჯვებაა.

- მოგეხსენებათ, ეს არის ალმათის პირველი თოჯინური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ბულგარეთი, პოლონეთი, თურქეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი. იყო 6 ნომინაცია, მათ შორის კი გრან პრი, რომელიც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა აიღო და ძალიან გახარებული და ბედნიერები ვართ ამ ფაქტით. გარდა ამისა, ჩვენ გადმოგვეცა მილიონი ტენგე, დოლარში თუ გადავიყვანთ - 2000 დოლარი. აღნიშნული გამარჯვება უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის, პირველ რიგში, იმიტომ, რომ საშუალებაა, დაამყარო ახალი კონტაქტები, ჩაერთო ახალ ფესტივალებში და მუდმივად იდგე ზრდისა და განვითარების გზაზე. დავმეგობრდით ძალიან ბევრ თეატრთან, ფესტივალთან. ვფიქრობ, ეს გამარჯვება როგორც ჩვენთვის, ასევე აჭარის რეგიონისთვის და ჩვენი ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სანამ ამ ფესტივალს შევუერთდებოდი, სტუმრის სტატუსით ვიყავი მიწვეული ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ძალიან საინტერესო სპექტაკლები ჰქონდათ ჩამოტანილი ევროპიდან, აზიიდან. აღნიშნულ ფესტივალზე მნიშვნელოვანი კონტაქტები დავამყარეთ ესპანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების თეატრებთან. სასიხარულოა ის დინამიკა, რაც ჩვენს თეატრშია, ამით უნდა გავიდეთ საზღვრებს გარეთ, უფრო კარგად უნდა გაგვიცნონ, რადგან ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი არის ერთ-ერთი ღირსეული თოჯინურ სფეროში მთელ საქართველოში. ძალიან დიდი მადლობა მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისთვის საზოგადოებას - უამრავ მოლოცვას გვიგზავნიან და იზიარებენ ჩვენს დიდ სიხარულს. მართლაც, ენით აღუწერელი ბედნიერებაა ეს გამარჯვება თითოეული ჩვენგანისთვის, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

საზოგადოებას ასევე მადლობა გადაუხადა თეატრის დირექტორმა იმედა თავდგირიძემ. მისი თქმით, აღნიშნული გამარჯვება, ფესტივალებზე დამყარებული ურთიერთობები უფრო მეტ შესაძლებლობებს მოუტანს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს.

„თუ მრავალწახნაგოვანი აზროვნება არ ვისწავლეთ...“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმელთათვის კარგად ნაცნობი გიორგი ტუღუში, ინტელექტითა და ერუდიციით გამორჩეული ახალგაზრდა, მწიგნობარი, პოეტი და პროზაიკოსი იმ მოაზროვნეთა კატეგორიას მიეკუთვნება, თავის სათქმელს გულწრფელად რომ ამბობს და ყურადღებას იპყრობს

ახლახან, როგორც მწერალმა, თვალსაჩინო და წარმატებული ნაბიჯი გადადგა - მალე მკითხველი იხილავს მის რომანს „კოლხეთის ბოლო ნაშიერი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“), ხოლო ჟურნალ „ჭოროხის“ ახალ ნომერში გაეცნობა მის რომანს „ირინეოსი“, რომელმაც ლიტერატორთა მოწონება დაიმსახურა. მაშ ასე, ნომრის სტუმარია ***გიორგი ტუღუში.***

- არაორდინარულ ადამიანად მიგიჩნევენ. თავად როგორ წარმოგვიდგენით თავს? ვინ არის გიორგი ტუღუში? რა არის მისთვის მთავარი ცხოვრებაში?

- მე ვარ ადამიანი, რომელიც სამყაროს აცნობიერებს და ვინც სამყაროს აცნობიერებს, არ შეიძლება სტერეოტიპულად აზროვნებდეს. ვინც სტერეოტიპულად არ აზროვნებს, არაორდინარულად მიიჩნევა. ეს გამრუდებაა.

- როგორც ვხედავთ, მზად ხართ გულახდილი დიალოგისთვის. საერთოდ, როგორ გამოიყურებიან დღეს გულწრფელი ადამიანები?

- მე გულახდილი ვარ, რათა პრობლემები არ შევიქმნა. ყველა უბედურება თვალთმაქცობის შედეგია, მე კი არ მინდა, უბედურება დამატყდეს თავს.

- საბერძნეთში სწავლის პერიოდს როგორ გაიხსენებთ? რა იყო და რა არის თქვენთვის არსებითი და პრიორიტეტული?

- საბერძნეთში ვასახელე სამშობლო. ეს იყო პრიორიტეტი.

- ინტერნეტსივრცეში ძალიან პოპულარული ხართ. როგორ აღიქვამთ ამ პოპულარობას? საერთოდ, რას ფიქრობთ სივრცეზე, სადაც ადამიანები ახლა დიდ დროს ატარებენ?

- მე ვქმნი და სოციალური სივრცე ამიტომაც მესაჭიროება. რომ არ ვქმნიდე, არ მექნებოდა.

- გამომცემლობა „ინტელექტი“ მალე მკითხველს თქვენს რომანს მიაწვდის. ანონსს ინტერესით გავეცნობით... როგორც განაცხადეთ, თურმე კიდევ ერთი ახალი ნაწარმოებით - „ირინეოსით“ გაგვაოცებთ. მის შესახებაც მოგვითხრეთ.

- „კოლხეთის ბოლო ნაშიერიც“ და „ირინეოსიც“ არის ახალი სიტყვა მსოფლიო ლიტერატურაში. მხოლოდ ამას გეტყვით დანამდვილებით.

- ხელოვნური ინტელექტი დაიმეგობრეთ? ლექსიც დააწერინეთ? ბევრი მოწონება ჰქონდა... თქვენი დაკვირვება და პროგნოზი: მწერლობა - მომავალში.

- ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მტერი. ამ რობოტით ლექსის დაწერა უთავმოყვარეობაა. მწერლობა ყოველთვის იარსებებს, რადგან მწერლობა სხვა არაფერია, თუ არა სულის დუღილი ხორცშესხმული ასოებად, ხოლო ადამიანის სული ვერასოდეს შეწყვეტს დუღილს - ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

- ქალაქი, რომელშიც ცცხოვრობთ... როგორ ვუვლით მას, როგორ ვზრუნავთ მის იერსახეზე?

- ბათუმში მრავალსართულიანი შენობების აშენება თავიდანვე დანაშაული იყო. ახლა ამას ვეღარ გამოვასწორებთ. არ შეიძლება, პატარა ქალაქი მეგაპოლისად აქციო.

- ევროინტეგრაციის გზაზე შემაფერხებელ ფაქტორად, უპირველესად, რა მიგაჩნიათ?

- ევროკავშირში ვერასოდეს გავწევრიანდებით, თუ მრავალწახნაგოვანი აზროვნება არ ვისწავლეთ. მრავალწახნაგოვან აზროვნებას ვისწავლით, მივიღებთ განსხვავებულსაც. ვოლუნტარისტული აბულია ჩვენი უმთავრესი მტერია.

- ზრუნვა ერთმანეთზე - ეს თვისება ქართველებს, მგონი, გვაკლია.

- ისტორიული ბედუკუღმართობიდან გამომდინარე, ქართველს განსაკუთრებულად განვითარებული აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი, ამიტომ საკუთარ თავზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სხვა ადამიანებზე.

- ცოცხლების დაფასებაც გვიჭირს, თუმცა მკვდრებისთვის არ ვიშურებთ ოდებს...

- ეს შიშია. ქართველს ეშინია ცოცხლის განდიდების, რომ ეს უკანასკნელი მეფედ არ დაუჯდეს, მკვდარს კი აღარ შესწევს ძალა გამეფებისა, ამიტომ მისი დაფასება ადვილია.

- დედანში (უცხო ენებზე) რომელ მწერლებს კითხულობთ და რატომ არიან ისინი თქვენი თანამგზავრები?

- დედანში წაკითხული მაქვს კაზანძაკისი და ტოლსტოი. ჩემი თანამგზავრები ნამდვილად არ არიან. უბრალოდ, წაკითხული მაქვს, კითხვა ჩვევად მექცა.

- რომელი ჟანრის და ავტორების წაკითხვას ურჩევდით ჩვენს მკითხველს?

- კითხვა არასდროსაა საკმარისი. ყველაფერი უნდა ვიკითხოთ.

- თქვენ და თავისუფალი დრო... როგორ ისვენებთ?

- მე გამუდმებით ვფიქრობ, ამიტომ არასდროს ვისვენებ.

- ოჯახი პატარა სახელმწიფოა თუ დიდი? როგორი მეოჯახე ხართ? ვინაა ოჯახის თავი?

- არასოდეს მიფიქრია ოჯახის მართვაზე ან მის უფროსობაზე.

- ქართული ენა სკაბრეზული მეტყველებით დამძიმდა, ახალგაზრდები სოციალურ სივრცეშიც კი იგინებიან...

- ქართველებმა უნდა შევიგნოთ, რომ დიდებული ენა გვაქვს. ესაა გამოსავალი. განა მსოფლიო ენებში არსებობს ტანატვიფრულზე, გადაზაფრულზე ან სხეულმზიანზე დიდებული სიტყვები?

- სულიერ სენთაგან, უპირველესად, რა გვაქვს დასაძლევი?

- ჰედონიზმი, ანუ ის, რამაც მაკონდო დასცა.

- ქუჩაში რომ მოაბიჯებთ, ვისთან შეხვედრა გახარებთ?

- ქუჩაში როდესაც მოვაბიჯებ, ძალიან მახარებს თანამშრომლების, ტუკა ყაჭეიშვილისა და რამაზ ფირცხალაიშვილის დანახვა.

- გულისხმა, გულისყური, გულის წადილი - ერთ სიტყვაში როგორ გამოხატავთ და მიიჩნევთ მას სულის სარკედ?

- ბრძოლა...

- დამშვიდობებისას რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?

- თქვენს მკითხველს ვუსურვებ სამყაროს გაცნობიერების სურვილის გამძაფრებას.

ამ ფესტივალში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სამ დღეს მიმდინარეობდა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-18 საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც ყოველთვის შესანიშნავად უძღვება მისი დამფუძნებელი და ორგანიზატორი, მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე. წლების განმავლობაში ფესტივალის მხარდამჭერია ქალაქ ბათუმის მერია, ხოლო წელს ფესტივალის გარკვეული ნაწილი (კონფერენციის) აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა

ფესტივალში რანდენიმე ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის თურქეთი, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, უნგრეთი, ირანი, მოლდოვა, ავსტრია და, რა თქმა უნდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონი. მარტო თურქეთიდან კონფერენციაზე სამმა მეცნიერმა წარადგინა თავიანთი თემები. დასამახსოვრებელია, ასევე, საკონცერტო პროგრამა და მასში მონაწილე თითოეული ანსამბლის გამოსვლა.

ფესტივალს წელსაც ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა (რექტორი - თემურ კეჟერაძე). იგი 20 ოქტომბერს გაიხსნა. როგორც ხათუნა მანაგაძემ აღნიშნა, ფესტივალი ყოველთვის ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება - საკონცერტო პროგრამისგან, რომელიც სამივე დღეს ტარდებოდა სხვადასხვა კოლექტივის მონაწილეობით და სამეცნიერო კონფერენციისგან. ეს თემები შემდეგ ორენოვანი (ქართულად და ინგლისურად) ბუკლეტის სახით გამოდის.

თემურ კეჟერაძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ მხარდამჭერს და აღნიშნა, რომ ასეთი ფესტივალების ჩატარება როგორც მასპინძლებისთვის, ისე სტუმრებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

- მეორედ ჩამოვედით, ხუთი წლის წინათაც ვიყავით. ძალიან მიყვარს ეს ფესტივალი, რადგან გიორგი გარაყანიძის ხსოვნას ეძღვნება. პირველ რიგში, სწორედ ამიტომ ჩამოვდივართ, თუმცა მასში მონაწილეობა ნამდვილად მნიშვნელოვანია, - გვითხრა საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლ „სამების“ ხელმძღვანელმა გიორგი სუხიშვილმა.

- აღნიშნულ ფესტივალზე 2019 წლიდან გვიწვევენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ჩამოვედით, მერე პანდემიაც დაიწყო. თუ მოგვიწვევენ, კვლავაც სიამოვნებით ჩამოვალთ, - გვითხრა სენაკის ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლ „გოგალაის“ ხელმძღვანელმა ლალი გოგიამ.

როგორც ითქვა, ფესტივალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სამეცნიერო კონფერენცია, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკოსი მეცნიერები, მართლაც, საინტერესო თემებს წარადგენენ, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ.

- არაერთხელ ვმონაწილეობდი როგორც მეცნიერი და შემსრულებელი და წელსაც არ იყო გამონაკლისი. ორივე ნაწილში ვმონაწილეობდი. ეთნომუსიკოლოგ ჯგუფ „ნანინასთან“ ერთად კონცერტზე წარმოვადგინე ახალი დისკი - „ნანინას“ დიდი ოჯახი - ამღერებული შთამომავლობა“, - აღნიშნა ეთნომუსიკოლოგმა მაკა ხარძიანმა, რომელიც კონფერენციაზე თემით: „სვანური ხალხური მუსიკის სახასიათო სტრუქტურული ელემენტები“ წარსდგა.

ორგანიზატორების თქმით, სამომავლოდ ფესტივალის ერთი დღე ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებს დაეთმობა და ამ მიმართულებით სამეცნიერო ნაწილსაც ჩართავენ.